1930



სათესლე ხორბალი კოლმეურნეობებს

ფოტო — ფურცხვანიძ





## უმუშევრობის ზრდა გერმანიაში

უმუშევართა რიცხვმა გერმანიაში უკანასკნელ კვირეების განმავლობაში 3 მილიონს მიაღწია. ამ რიცხვიდან ერთი მესამედი არ იღებს დახმარებას. ვინაიდან ბინის გადასახადი ძალიან დიდია, უმუშევრებს არა აქვთ საშუალება გადაუხადონ ქირა სახლის პატრონებს. ამასთანავე ღამის სათევი სახლები ისე გავსილია, რომ დააწესეს ამ ბინებში ყოფნის ვადათ ორი კვირა. ამ ვადის გასვლის შემდეგ უმუშევრები იძულებული არიან ქუჩაში თავშესაფარი სადმე მოძებნონ.

სურათზე „უმუშევრობის [illegible]“.

## ამბოხება მაროკოში

მიუხედავად საფრანგეთის გაზეთების დამამშვიდებელი ცნობებისა, მაროკოში შეუწყვეტლივ სწარმოებს პარტიზანული ომები. „როტე-ფანე“-ს ცნობით, ფრანგებმა უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მაროკოში დაჰკარგეს 1000 კაცი. (დაჭრილები და დახოცილები).

სურათზე — საფრანგეთის ზარბაზანი მზად არის „დაამშვიდოს“ აჯანყებულები.



მუშკოლაპი ამთავრებს ქართული პურის საცხობ მექანიზაციაქმნილ თორნეს.

სურათზე — თორნეს საერთო სანახაობა. პურის ცხობის გამოცდის მომენტი.




ამხ. ნარიმანოვის კლუბში სპეციალური წრე სწავლობს ახალ თურქულ ანბანს.



კომკავშირელი და მოსწავლე ქალები რკინის ნამტვრევებს აგროვებენ ამხ. სტალინის სახ. ორთქლმავლების შესაკეთებელ ქარხანაში.



ლითონის ნამტვრევების შეგროვება. მიათრევენ ძველ ქვაბს.



მეფის ღერბები ორთავიანი არწივით, რომელიც რკინის სხვა ნამტვრევებთან ერთად შეგროვილი თბილისის კომკავშირლებისა და პიონერების მიერ.



ტრამვაის სახელოსნოში მუშები აგებენ ვაგონს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

დ-76.

145.

# საბჭოთა საქართველოს 9 წელი

9 წელი შესრულდა, რაც საქართველოში დამკვიდრებულია საბჭოთა ხელისუფლება. ამ ხნის მანძილზე ჩვენში ბევრი რამ ძირფესვიანათ გამოიცვალა. განახლებული საქართველო ჩქარის ნაბიჯით მიისწრაფის წინ.

თვალი გადავავლოთ იმ მიღწევებს, რომელიც ამ ცხრა წლის განმავლობაში გვაქვს.

საქართველოს სახალხო მეურნეობაში აღნიშნულ პერიოდის განმავლობაში რადიკალური გარდატეხა მოხდა, საქართველოც ინდუსტრიალიზაციის ორბიტაში მოექცა. საქართველოს სამრეწველო ცხოვრება, რომელიც ცარიზმის და მენშევიკების ბატონობის დროს სრულ ძარცვას და უსურობას წარმოადგენდა, სადაც მრეწველობა შთანასახის მდგომარეობაში იყო, განვითარების ახალ სოციალისტურ ლიანდაგზე შესდგა. განვლილი 9 წელი, ჩვენი სახალხო ეკონომიკისათვის, ოქროს ხანად უნდა იქნას მიჩნეული. სიძირკველი ჩაეყარა და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო მშენებლობა, რის გამო საქართველოს ეკონომიური რუქა, საგრძნობლად შეიცვალა. ყურადღების ცენტრი გადატანილ იქნა მრეწველობის მასაზრდოებელ ენერგეტიულ ბაზის შექმნისაკენ; ჩვენი მიღწევები ამ მიმართულებით ძალზედ საგრძნობია, ისეთი ელექტრო გიგანტები როგორც: ზაჰესი და და რიონჰესია და აგრეთვე მთელი წყება აგებულ ჰიდრო-ელექტრონულ სადგურებისა, ჩვენ სრულ შესაძლებლობას გვაძლევს ფართოდ გავშალოთ ჩვენი ნედლეულის და მინერალურ სიმდიდრეთა დამუშავების და გადამუშავების საქმე, რამდენიმე პირველხარისხოვანი ქარხნის აგებით ჩვენ დადებითად გადავჭერით აბრეშუმის ნედლეულის გადამუშავების საქმე. თბილისის ძაუდის ფაბრიკის აგებით ჩვენ შესაფერისი პირობები შევქმენით მეცხვარეობის განვითარებისათვის. ახალ ტეხნიკურ და საწარმოო საფუძვლებზე აეგო მარგანეცისა და შავი ქვის დამმუშავებელი მრეწველობა. გასული პერიოდის მანძილზე საქართველოში სულ 42 ახალი საწარმოო ერთეული იქნა აგებული. ჩვენს მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის გასწრივ, მრეწველობის პროდუქტის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობის ბალანსში პროგრესიულად იზრდებოდა. ხუთწლიანი გეგმა ხომ ძირფესვიანათ შეცვლის ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ სტრუქტურას და დღევანდელ აგრარულ ქვეყანას აგრარულ სამრეწველო მხარედ აქცევს.

ორგანიული ცვლილება განიცადა ჩვენმა სასოფლო მეურნეობამ. ჩამორჩენილი და გაძვალტყვავებული სოფლის მეურნეობა ინტენსიფიკაციის გზას დაადგა. შესაფერისს ღონისძიებათა და ნივთიერ საშუალებათა გა. ებით სპეციალურ კულტურ თა გავრცელების საქმე ჯეროვან სიმაღლეზე იქნა აყვანილი. ჩაის კულტურის გავრცელება ჩვენს სუბტროპიკულ ზონიში სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ და სულ მალე გურიის, აჭარისტანის და სამეგრელოს „ეწრები" გადიქცევიან ნაყოფიერ ფართობად. სამელიორაციო და საირიგაციო მუშაობამ ჩვენ გამოსადეგარ მიწის საკმაო ფონდი შეგვძინა, მაგრამ ყველაზე საყურადღებო და დიდი პოლიტიკური ღირებულების მქონე მოვლენა ჩვენ სოფლის მეურნეობაში ეს კოლმეურეობრივი მოძრაობაა. 1928-29 წელში კოლმეურნეობათა რიცხვი საქართველოში 880 უდრიდა, ხოლო ნათესი ფართობის რაოდენობა 36710 ჰექტარს. ამ ბოლო ხანებში კოლმეურნეობრივმა მოძრაობამ უკვე მასიური ხასიათი მიიღო, მთელი რაიონები გადადიან მთლიან კოლექტივიზაციის საფუძვლებზე. სპეციალურ კულტურათა მშენებლობაში ხომ უდიდესი ნაწილი განსაზოგადოებულ სექტორის ანგარიშზე მოდის.

სწავლა-განათლების და კულტურული მშენებლობის დარგშიაც მიღწევები დიდია.

უკვე ცხრა წელი შესრულდა, რაც მენშევიკების ბატონობა სამუდამოდ აღიგავა საქართველოს მიდამოებიდან — 9 წელიწადია არც ერთი თოფი არ გავარდნილა საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა მშრომელებს შორის, რაც ხშირი მოვლენა იყო მენშევიკების მბრძანებლობის დროს. საბჭოთა საქართველო თავის მოძმე და მოკავშირე რესპუბლიკებთან მჭიდროთაა გადაჯაჭვული. ამიერ-კავკასიის ფედერაცია ამიერ-კავკასიის ერების ერთმანეთთან დაკავშირების და ერთად ბრძოლის სიმბოლოა.

განვლილი 9 წელი იმის საწინდარია, რომ ჩვენგან მიღებულ გამოცდილების და ცოდნის მეოხებით კიდევ უფრო წარმატებით ვივლით წინ.

# კოლექტივიზაციის ფრონტზე

## (კორესპონდენტის დღიურიდან)

დამარცხებულ და პოზიციებიდან განდევნილ მტერს გაათკეცებით ემატება თავდაცვის ინსტინქტები. ეს უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იმაში, რომ ის უყურადღებოთ არ სტოვებს არც ერთ მოვლენას, არც ერთ ნაბიჯს, რომელიც მშრომელთა მასების საკეთილდღეოთ ხდება და ცდილობს ყველაფერს თავისებური ახსნა-განმარტება მისცეს.



ფოტო-შ. ფურცხვანიძის
სამტრედია
ტრაქტორისტი უხსნის გლეხებს ტრაქტორის ნაწილების დანიშნულებას

საბჭოთა სოფელში პირველ კოლექტივების გაჩენას ჩვენი მტრები დამცინავი ღიმილით და თავის ქნევით ხვდებოდენ.

გლეხობის კოლექტივიზაცია? — ამბობდენ ისინი,— ეს შეუძლებელია! კომუნისტებს ავიწყდებათ ის გარემოება, რომ გლეხი ყოველგვარ **სიახლეს** უნდობლათ, იჭვით უყურებს. ეს უნდობლობა და იჭვი გადაიქცევა იმისთანა კედათ, რომელიც გაჰყვება და გააჩერებს კოლექტივიზაციის ბორბლებსო!

მათი „წინასწარმეტყველება“ უხეიროდ გამოაშკარავებული აღმოჩნდა, კოლექტივების ქსელი თანდათან ფართოვდებოდა და იზრდებოდა. ისინიც ხედავდენ, რომ კოლექტივებთან ბრძოლის წარმოებისათვის არ იყო საკმაო ტუჩებზე ათამაშებული გესლიანი ღიმილი, მათაც იარაღი შეიცვალეს და გააქტიურდენ.

დღეს კი, როცა კოლექტივიზაციამ მასიური და უხარმაზარი მოძრაობის ხასიათი მიიღო, როცა არამც თუ სოფელი და თემი, არამედ მთელი რაიონიც გადადის კოლექტივიზაციაზე და იწყება კულაკების, როგორც კლასის, განადგურება, როცა კოლექტივიზაციის განვითარების ტემპმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, „წინასწარმეტყველებმა“ ხმა დაადაბლეს და ყოველ გზაჯვარედინზე და მოსახვევში გაიგონებ ეხლა მათ ჩურჩულს.

— შესვლით კი შედიან, მაგრამ ეს არაფერია! აი, მიჯნების ამოყრა და საზღვრების გასწორება რომ დაიწყება, ნახე რას იტყვის გლეხი!

რას ამბობს გლეხი? ჰკითხეთ და გეტყვით! მაგრამ კითხვაც არ არის საჭირო. 4 თებერვალს, დილით რომ ჩავედით სოფელ ილორში, (სამტრედიის რაიონი) დაინახავდით რამოდენიმე ადგილას აბრიალებულ კოცონს. აი ეს კოცონები ყოველგვარ სიტყვებზე ნათლად მეტყველებდენ დღევანდელ გლეხის მიჯნებთან დამოკიდებულების შესახებ. წინა ღამით სოფელ ილორის ღარიბ და საშუალო გლეხების გაერთიანებულმა კრებამ დაადგინა კოლექტივზე გადასვლა. იმავე ღამით შესდგა მოხალისეთა ჯგუფები 100 კაცის შემადგენლობით, რომელიც მეორე დილითვე გამოვიდა მინდვრებზე სამუშაოდ.

ამოყარეს მიჯნები, ასწორებდენ საზღვრებს, ავსებდენ თხრილებს, თხრიდენ და გლეჯდენ ყანების საზღვარზე შემოვლებულ მაყვლის ქერაძენძის და ეკლის ბუჩქებს და უკიდებდენ ცეცხლს.

— გრანიცები დავწვით, გრანიცები! — მხიარულად შემოგვძახა ერთმა მოხუცმა, როცა მივესალმეთ და ვკითხეთ: ეგ რა კოცონები გაგიჩაღებიათ მეთქი.

— უწინ ამ ბუჩქებზე ერთი ფურცელი რომ მოეჭამა მეზობლის საქონელს, წალდით ბარკალს ჩამოაცლიდა მესაკუთრე; სათოფეთაც კი გაიმეტებდა მეზობელს! გუშინდელ დღესავით მახსოვს რამხელა ჩხუბი და ალიაქოთი გვქონდა ამ ბუჩქების ჩაყრაზე; მგელი რომ დაუდარაჯებს უშობელს, ისე უდარაჯებდენ ერთმანეთს: თავის მიჯნას არ გადმოშორდეს და ჩემი მიწის ანგარიშზე არ ამოიღოს თხრილი-თქვა. ერთი ტკაველით რომ მეზობლის ყანაში გადაგეწია ეს ბუჩქები, ვინ გაგიცოცხლებდა! ეხლა კი კოლექტივმა იმფერად გამოუცვალა ყველას გუნება რომ ჩვენებურები იმაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, ყველაზე ჩქარა, რომელი ამოვავსებთ ამ თხრილებსო.

სხაპასხუპით, თითქო ეშინია სხვამ არ დაასწროსო, ლაპარაკობდა მოხუცი.



ფოტო ფურცხვანიძის.
ქუთაისი
„ბოლშევიკი“ უღარიბესი გლეხი, რომელიც ახლად შევიდა კოლექტივში.

— მიწა რომ გვემატება, ეს კი არაფერია,— ჩაერია მეორე და ხელის გულივით მოსწორებულ მინდორს მოავლო თვალი.



ტრაქტორი მინდვრათ.

— თითეულ ყანას, განით ორ არშინიანი თხრილი და გორა ქონდა შემოყოლებული; რომ იანგარიშო, ერთ კომლს ეყოფა საყანეთ, რაც ჩვენ დღეს თხრილები და გორები მოვშალეთ.



ფოტო ფურცხვანიძის

სამტრედია

კოლექტივ „ნამგალ-ჩაქუჩი"-ს წევრი სათეს მანქანასთან.

მუშაობენ მხიარულად, ხალისიანად და გრძნობენ, რომ ამ კოცონებმა, კერძო საკუთრების ერთგულ დამცველების—მიჯნების და ქერაძენძის ბუჩქების სახით—იშლება და იწვება ძველი სიბნელისა და სილარიბის თოკებით დაბმული ცხოვრება.

კოლექტივიზაციამ არა მარტო მიჯნების და ღობის ტყეებიდან გაანთავისუფლა გლეხი, არამედ ფსიქოლოგიურათაც გარდაქმნა ის და გამოიყვანა იმ ძველი ადათების და ზნე-ჩვეულებათა გამოქვაბულიდან, რომელიც ერთ დღეში ნთქავდა და ანადგურებდა მის წლიურ სარჩოს.

გლეხი დარწმუნდა, რომ კოლექტივი, ეს არის მეურნეობის იმისთანა ფორმა, რომელიც მიმართულია მისი მეურნეობის გარდასაქმნელად და მისი მომავლის უზრუნველსაყოფად. ამიტომ საბჭოთა სოფლის დღევანდელი მოქალაქე ცდილობს ყოველმხრივ და მთელი თავისი შესაძლებლობით შეუწყოს ხელი კოლექტივის გამაგრებას და განმტკიცებას.

კოლექტივიზაციაზე გადასული გლეხები ამხელენ და იბრძვიან მათ წინააღმდეგ, რომელნიც კულაკების ჩაგონებით, განიზრახავენ და შეეცდებიან ცოცხალ ან მკვდარი ინვენტარის გადამალვას, ან არა სწორი ცნობების მიცემას. 4 თებერვალს ხიბლარ-წიფნარის (სამტრედიის რაიონი) უბნების გლეხობის გაერთიანებულმა კრებამ, საგაზაფხულო თესვის კამპანიის მნიშვნელობის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ, დაადგინა კოლექტივზე გადასვლა. ა რჩევს ირწმუნებულები და იქვე დაიწყეს ჩაწერა. ჩაწერის დროს ერთმა გამაცხადა.—საყანეს კი „მემოვიტან მაგრამ იქ რომ ალის ხეებია, ამას წინად გავყიდე და ფული მივიღეო. ხეების გადამალვის ამისთანა ცდა მაშინვე იქნა გამოაშკარავებული დამსწრე გლეხების მიერ. ასეთი საქციელი დაგმეს და გაჰკიცხეს.

— მტრისას ხომ არ შეგაქვს! კოლექტივი შენთვის, ჩემთვის და ჩვენისთანებისათვის არის, კოლექტივს რასაც დაუმალავ და დააკლებ, გადამთიელს კი არ მოაკლდება, ისევ შენ და ჩვენ მოგვაკლდებაო.

კოლექტივიზმის ამისთანა გრძნობა, გრძნობა იმისა, რომ კოლექტივის განმტკიცება-გაძლიერება ისე დამოკიდებულია ყოველი წევრის კეთილსინდისიერებასთან, როგორც პურის მოყვანა თესვასთან, აასკეცებს გლეხობის ენერგიას კოლექტივების ხელშესაწყობათ.

სოფელ აბაშაში მცხოვრებ საშუალო გლეხ ჯაშს მოუკვდა მამა.

— მღვდელი და ერი პირში არ შემოგხედავს ქელეხი რომ არ გადაიხადო! უთხრეს მეზობლებმა ჯაშს.

— მამა მომიკვდა—გულ-დასაწყვავად ისიც მეყოფა! კიდევ რაღას მივიმატო ცეცხლი და გავანადგურო ოჯახი! მღვდლის შემოხედვას არ დავეძებ—რაც შეეხება ხალხს, თუ მომიწონებენ, თორემ დაძრახვით არ დამძრახავენ!



ფოტო შ. ფურცხვანიძის.

ქუთაისი

პატრიკეთის კომუნარმა ისწავლა სათეს მანქანაზე მუშაობა.

უპასუხა ჯაშმა: დაჯდა და იანგარიშა, რამდენი დასჭირდებოდა ქელეხის გამართვას: გამოვიდა 100 მანეთი, რომელიც მთლიანად შეიტანა კოლექტივის ფონდში.

მღვდლის რა მოგახსენოთ და გლეხობაში კი სიხარული და მოწონება გამოიწვია ჯაშის ასეთმა საქციელმა.

**კონსტანტინე ლორთქიფანიძე.**

# საგაზაფხულო თესვა.

სითბო შეუდგა თებერვლის თვესაც
ზამთარს მოადგა დღეგრძელი შიში;
საგაზაფხულო იწყება თესვა
და ხორბლის სისხლი სდგას კოლექტივში.
გაშლა სპირია სათეს ფართობებს
და მწირ მიწასაც ნადაველი ნეხვი;
და ბობოლა გლეხს
ახლა მარტოხელს
კოლექტივებით ეცემა მეხი.
წინეთ დასცქეროდა ის აივნიდან:
მოჯამაგირეს, უმიწოს, ღარიბს.
ახლა ბობოლა ობლად წავიდა
ჩამოკრა თავის გამტყდარი ზარი.
წინეთ ბობოლა მშვიდათ ფიქრობდა:
და ამზადებდა გულს იდილიურს
ქალაქში მუშის მტრებს გააქრობენ;
ქალაქში ხდება ქვეყნის ქიდილი.
სოფლად მშვიდათ ვართ, არა გვყავს
მტერი
და არც გვეხება ჩვენ არაფერი.
ჭადრის ქვეშ იწვა დიდი ბობოლა
ჭადრის ქვეშ ედგა გაშლილი სუფრა
ჭადრის ქვეშ ხნებამ გადაიყოლა
ჭადრის ქვეშ ყლაპა ჰაერი სუფთა.
შემდეგ ზამთარი, ზამთრულად დადგა
ბობოლ ფიქრ ბდა მწოლარე უქმად:
სურსათს არ ვყიდი. არ მინდა მათგან.
სოციალისტურად მოჭრილი ლუკმა.
ფიქრობდა ასე და ამ ფიქრის დროს
კოვზი ნაცარში ჩავარდა ფრაყის.
უნდა ბობოლას ჩოხა გაიძროს;
დახეულს იცვამს ბობოლას ვაჟი.
მოსჭრეს ბობოლას ჩრდილი და მუხა
მოსჭრეს ბობოლას სოფლის დიდი დღე;
კოლექტივები შეიკრა უხვად
და შეუთანხმდა ალვა, ალვის ხეს.
კერძო კერიის მოისპო ღალა
კერძო არ დარჩა განძი ურთხმელა;
კოლექტიური აშენდა ძალა
და ღარიბები ძმობენ უთქმელად.
სითბო ჩაუდგა თებერვლისა თვესაც
გაჩნდება მალე ყლორტების სუნიც.
კოლექტივები იწყებენ თესვას
და თესვის დროსაც
ქმნიან კომუნიზმს.
თუ მოფრინდება კერძო მერცხალიც
მოიტანს შორით განცდებს პირადულს—
ჩვენში დახვდება ძმობა ცოცხალი
და გარდიქმნება ის ერთ კვირამდის.
ზამთარი მიდის და გაზაფხული
უკვე გადიქცა ზაფხულის აზრათ;
ჩვენ ამოცანათ დავსახეთ რთული,
სოციალისტური სექტორის გაზრდა.
სოციალისტური სექტორის გაზრდა
გაყვება ზაფხულს და მკ თა ეებში
კოლექტივები გვექნება ბაზათ
გატყდება კერძოს კუთვნილი თეფში.
ერთ აბრეშუმის გაშლილი ყანა
გამრავლებული რიცხვი ჰექტარის
შემოდგომამდე მოვა ქვეყანა
ინდუსტრიალურ ქუსლებზე მდგარი.
თესვის დროს ჩვენ ვქმნით
კომუნის ნაყოფს
გუთანი ეტრფის ტრაქტორის მყოფადს;
და რომ კომუნის თვალები ენახოთ
ჩვენ გავამრავლებთ ღარიბთა ძმობას.
კერძოთ ნაშენ ხეს, შესცვლის ხალხის ხე
უღელ კამეჩებს, ჯოგნი შესცვლიან
და ახლა თუ გინდ ზეცაც განრისხდეს
ღრუბლებსაც დავშლით, წვიმის ბუწვიანს.
სითბო შეუდგა თებერვლის თვესაც
ზამთარს მოადგა დღეგრძელი შიში;
საგაზაფხულო იწყება თესვა
და ხორბლის სისხლი სდგას კოლექტივში.

**სიმონ ჩიქოვანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შ ი რ ვ ა ნ ზ ა დ ე

(ალექსანდრე მოვსესიანი)

## მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლის შესრულების გამო.

ნახევარი საუკუნე შეუსრულდა სომხეთის გამოჩენილ მწერალს და დრამატურგს ალექსანდრე მოვსესიანს, ფსევდონიმით შ ი რ ვ ა ნ ზ ა დ ე ს, რაც სამწერლო ასპარეზზე მუშაობს.

შირვანზადე არის სომხეთის ოთხმოცდაათიან წლების ერთი გამოჩენილი და სახელოვანი მწერალთაგანი.

მისი მწერლობის დარგი მრავალმხრივია. სწერდა რომანებს, მოთხრობებს და დრამებს, სადაც ასახავდა სომხეთის რეალურს ცხოვრებას და ამ ცხოვრებაში აღმოზრდილს დადებითს თუ უარყოფითს ტიპებს.

მისი თანაგრძნობა ყოველთვის დაჩაგრულების მხარეზე იყო.

ევროპიულად განათლებული და შეიარაღებული თანამედროვე მეცნიერებით, შირვანზადე ღრმად ჩასწვდა მაშინდელს ცხოვრებას და მისმა მხატვრულმა თხზულებებმა („ნამუსმა“ „ქაოსმა“, „ბოროტმა ძალამ“ „ხანძარმა“ და სხვა, (სომხეთის გარეშეც მოიპოვეს სახელი.



შ ი რ ვ ა ნ ზ ა დ ე

მის კალამს არ გადარჩენია არც ერთი წრე, ცხოვრების არც ერთი მხარე, (მდაბიო, მოქალაქე, ინტელიგენტი, გლეხი, ვაჭარი), რომ არ დაეხატოს, მათი ნაკლი თუ ღირსება არ გამოეაშკარავებინოს.

გამჭრიახის თვალით და მახვილის გონებით უდგება ცხოვრების ყოველ მოვლენას და მკითხველს იტაცებს უკეთეს მომავლისთვის.

ძველი რეჟიმის დროს შირვანზადეს ბევრი ჭირვარამი გადაუტანია. პოლიტიკურად როგორც არა საიმედო, იჯდა ციხეში და შემდეგ იქნა გაძევებული.

უკვე 72 წლის ჭაღარამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიიღო ღირსეული პატივისცემა და სომხეთის მშრომელმა ხალხმა ამა წლის 8 თებერვალს დამსახურებულ ზეიმით 50 წლის იუბილე ერევანში გადაუხადა.

# ცენზურის მიერ 1905 წელს აკრძალული ლექსები

საუკუნის მეოთხედი გავიდა მას შემდეგ რაც რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა პირველი ძლიერი იერიში მიიტანა თვითმპყრობელობის დამხობისაკენ. ეს დაიწყო 1905 წელს,—პეტერბურგის მუშებმა რომ სისხლით მორწყეს თოვლიანი ქუჩები ცხრა იანვარს. ამ დღიდან მთელი წლის განმავლობაში გაფიცვები, დემონსტრაციები და შეიარაღებული აჯანყება,—მოედო მთელ მხარეს და დამთავრდა დეკემბრის აჯანყებით.

მაშინ მრავალი პარტია უწოდებდა თავის თავს „რევოლიუციონურს“ და „სოციალისტურსაც“—ყველა „გაზაფხულზე“ მღეროდა. პრესა მემარცხენე ჰანგზე ჟღეროდა, ოპოზიციაში იდგა და მთავრობის დამხობას ჰლამობდა.

სამაგიეროდ მეფის დამქაშები—ჟანდარმერია და კაზაკები—მუშების რევოლიუციონურ გამოსვლებს სისხლში ახშობდა, ხოლო პრესას,—ცენზურის მაკრატლით ჰხუთავდა.

ჩვენ შემთხვევა გვქონდა გადაგვეთვალიერებინა იმ დროის ქართული პრესის საცენზურო კომიტეტის წინაშე დასაბეჭდათ წარდგენილი და მათ მიერ დასაბეჭდათ აკრძალული მასალები, რომელიც საქართველოს ცენტრარქივშია დაცული.

იმის სანიმუშოთ, თუ როგორი ქარაგმებით იწერებოდა მაშინ მხატვრული ნაწარმოები და დახელოვნებული ცენზურაც როგორ სდევნიდა და ჰკრძალავდა ასეთ წერილებს—ჩვენ მოვიყვანთ სპირ დონ მცირიშვილის (ჭ. ლომთათიძის) ესკიზს ამონაკვნესი, რომელიც ცენზურის მიერ აკრძალული იყო დასაბეჭდათ და პირველათ ახლა იბეჭდება.

ახოსპირელის ლექსი „ტყეში“ ცენზურის წარწერის თანახმად—„ტენდენციურად მიუთითებს მიმდინარე მომენტზე“—დასაბეჭდათ აკრძალული იყო და ახლა იბეჭდება პირველად.

აქვე მოგვყავს ცახელის ორი დაუბეჭდავი ლექსი, აგრეთვე ცენზურის მიერ აკრძალული. ლექსი ხელმოწერილია „ცალხელის“ ფსევდონიმით ნამდვილათ ეს ლექსები ცახელისაა. საქმე იმაშია, რომ დასაბეჭდათ დამზადებული ლექსი კორექტურის გასწორებამდე ცენზორთან მიდიოდა და მხოლოდ ნებართვის მიღების შემდეგ, კორექტურა სწორდებოდა და ასე იბეჭდებოდა. ამიტომაც ეს კორექტურა გაუსწორებელი ლექსები, საცენზურო კომიტეტის ხელში დარჩა, კორექტურული შეცდომებით.

ყველა ეს მასალები, მაყაშვილის ლექსის გარდა დასაბეჭდათ მიცემული იყო ჟურნალ „კვალის“ რედიქციაში, ხოლო კ. მაყაშვილის ლექსი კი—გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში*)

**დ. სულიაშვილი.**

## ამონაკვნესი.

(ლექსი პროზათ)

(ვუძღვნი ლ. ჭანტურიშვილს)

ისევ მარტო ვარ... ჩვენ გარემოს ყვავილთა გროვას, ცელქი ნიავი საიდუმლოთ ესაუბრება და ბაგე გაშლილ, პირ ბადრ მთვარეს, როგორც დედოფალს, სარს ახვევია მოციმციმე ვარსკვლავთა კრება. გულში ჩაკვრია არე-მარეს მკვდრული სიმშვიდე, ღრიულ ვარამით დაქანცულსა ქვეყანას ძინავს, არ ძინავ მხოლოდ ამ ოხერ გულს თავის ბუდეში, ვით გალიაში დამწყვდეული ლომი, ის გმინავს. რით დავამშვიდო?—ეს იჭვები, შავი იჭვები ნაღველ ნარევი სიმღერებით მივსებენ გულსა—არა ვიცი რა, მეღირსება კიდევ თუ არა თავი შევწირო, მტლად დავედო ჩემს სიყვარულსა...

კვლავ მაგონდება გულის ტოლო ნეტარი წამი, როცა პირველად აამღერე ციური ჩანგი და გულ დაკოდილს, მიხდილს, ბეჩავ შრომის შვილს, მისი ჰანგებით გადამიყარე გულისა ჟანგი! მე იგი მახსოვს! აბა იმას რა დამავიწყებს, ჩემ ოცნებათა მძლე ფესვები იქ არის რგული, იქ იგრძნო ჩემმა გულმა თუ რა ხილია თავისუფალი მისწრაფება და სიყვარული იგრძნო გულმა და იმედმაც აქამდე მხდალმა, ფრთები გაშალა. ცის ციაგში გაუქრიალა და ჩემს არსებას, მოდუნებულს, არაქათ მოშლილს, წამს შეეძინა დაუძლეველი, დიადი ძალა. და იმა ძალმა წინ გამწია, გზას მიმითითა, ცხოვრების გულში დამანახა სიყვარულის სახე, სახე-კრული, საყვედურით აჭრელებული სადღესასწაულო ცრემლად სწერია ჩვენი ხვედრი და სივაგლახე. „წამიკითხეო, იხატებოდა იმის ფურცლებზე, აქ გაიგებთ, რომ ორივეს ერთი გვაქვს ბედი, ერთად დავეცეთო ბრძოლის ველზე ყოფნა, ერთად ვიყოთო განთიადის წინა მორბედის“... მეც წავიკითხე, მაგრამ აჰა, აღარ მეღირსება, რაც შიგ გავიგე იგი ვამცნო ქვეყნიერებას, სნეული ვხივარ და სატრფოზედ დაშორებული ოცნებით თუ ვჭვრეტ იმის მიმტაცე მშვენიერებას!... იჭვი იჭვს მოსდევს, სევდა სევდას, ფიქრები ფიქრებს, ვერ დავაღწიე იმათ კლანჭებს სნეული თავი... ცაზე კი ცაში რა მაცდურათ გადმოკიდულა, მხიარული და მოციმციმე ნაზი ვარსკვლავი.

მითხარ, მიამბე შენ ვარსკვლავო მისი ამბავი. შენ ხომ დასცქერი მშვენიერი ჩემსა იმედსა! გეცოდინება თუ რასა იქმს, რა გადუჭრია იმის კისერზედ ჯაჭვის აბეს მის ბოროტ ბედისა! მიამბე მეთქი ღვთისა თვალო მისი ამბავი!..

*) იხ. საქართველოს ცენტრარქივის „საქმე კავკასიის საცენზურო კომიტეტისა“ № 1220 და 1096.

ის კი იცინის და ციმციმებს ცისა ცაგში, მიწისა შვილის როდი ესმის ხვეწნა-მუდარა. მას არ აწუხებს აქაური ჭირი, ვარამი და ჩირად უჩანს შეძახილი, ჩვენი მუქარა!.. ოჰ, ვიცი, ვიცი ცის ვარსკვლავი და ცისა მთვარე, აბა რას არგებს დედამიწის ზურგზე მდგომარეს!..

ისევ მარტო ვარ... მთა მაღალი, მთა მიუწვდომი, უთანაგრძნობით გადმოცქერის მწუხარს თავზედა და არე მარეს მიძინებულს, სხვა სიზმარში მყოფს, დარდი არა აქვს თუ რას ეჩივი მომავალზედა. და ეს იჭვებიც... საზარელი შავი იჭვები, ნაღველ ნარევი სიმღერებით მივსებენ გულსა... არა ვიცი რა მეღირსება კიდევ თუ არა, გულში ჩავიკრა, ემსახურო ჩემ სიყვარულსა *)

**სპირიდონ მცირიშვილი.**

## ტყეში.

რა შევიძინო კაცთ შორის—
ძლიერნი სუსტსა სჩაგრავენ,
სიმართლეს, პატიოსნებას
გოლგოთას ჯვარზე აკრავენ.
ცხოვრების ასაყ:ავებლად,
თუ ვინმე გახდა ღვთიანი,
გააწამებენ, სტანჯავენ—
რაღაა ადამიანი?

—

ლ ნი ვი ჭკრის... მთის კალთას
ჯაჭვი არტყია ძილისა,
არა ესმის რა მდუმარეს,
ბუნების მოძახილისა.
მის ახლოს მუხა შტოვანი
სდგას ფიქრით გარემოცული
და სულაც არ გრძნობს მაღლობზედ,
რომ თოვლი არის მოსული.

*) ეს ამონაკვნესი ჰ. ლომთათიძისა უნდა დაბეჭდილიყო „კვალში“. საცენზურო კომიტეტის მიერ ამ ნაწყვეტს შემდეგი რეზოლიუცია აქვს წარწერილი: „საცენზურო კომიტეტის 4 თებერვლის 1904 წლის ჟურნალის თანახმად **გადაწყვეტილია** ჟურნალ „კვალის“ საერთო მიმართულების, ცენზურის მიერ მიუღებელ მიზეზის გამო, დაბეჭდვა აიკრძალოს“.

კომიტეტის თავმჯდომარე [ხელის მოწერა]
მდივანი [ხელის მოწერა]

მხოლოდ შეშმშარი ფოთლები
ზამთრისა სუსხსა სტირიან...
სევდის ნიავი დაქროლავს
და მყისვე ჩამოცვივიან.
ტყე-ველთ-კლდეთ მთვარე დანათის,
მიწას მხის შუქი ჭფენია...
ირგვლივ სიჩუმე... მიდამო
ჭყვავის და მოელხენია.

—

ხალხთ სიბეჩავე, სიგლახე,
ამოვიტირო მწადია...
გრცხვენოდეთ მარად მცხოვრებნო,
მხეცთ შორის განთიადია**)

**ბ. ახოსპირელი.**

## ამონაკვნესი.

... ვერა—შორს ჩემგან, მტარვალო!
შენი არა მწამს ხმა ტკბილი...
მე?... დაე ვლიდე გლახაკად
დამცირებული და წბილი!
როგორ? სიმართლე გავთელო,
ბოროტს ვუჩვენო მე მხარი?
ცეცხლმა დამწვრაკოს მანამდის,
მინამ მეჩვენოს სამარი...
სინათლე დავგმო, მივეცე
წუთიერ ნეტარებასა..
ათასჯერ ვერა, მტარვალო!
შენ ქენი, რაცა გწ დია.
იმედს ვერ მომგლეჯ მკერდიდან
მხოლოდ ეს დამიქადია!
დრო მოვა—ჭეშმარიტება
დაიდგამს სხივსა ნათლისას,
შენ მძიმე ჯორკილს დალეწავს.
არ გასმევ სისხლსა მართლისას!*)

**ცალხელი** (ცახელი)

**) საცენზურო კომიტეტის მიერ ამ ლექსს შემდეგი რეზოლიუცია აქვს წარწერილი: „საცენზურო კომიტეტის 21 იანვ. 1904 წლის ჟურნალის თანახმად **გადაწყვეტილია**: ვინაიდან მიმდინარე მომენტზე ტენდენციურად მიუთითებს, დაბეჭდვა აიკრძალოს“.

კომიტეტის თავმჯდომარე (ხელის მოწერა).
მდივანი (ხელის მოწერა)

***

სულ მთლად გაჰყინა ყოველი
არ შეისმინა მუდარა
ცივმა ზამთარმა... მან არეს
შემოსა გლოვის სუდარა..
უნდა გამკლავდეს წყეული,
შეკრა, შებოჭა ქვეყანა
გულ ქვავმა ძალმომრეობამ
ძეგლი ააგო ყველგანა...
ძრწის ბარბაროსი: სწყურია
ძირს ბარიც ააწრიალოს
და მით მან ბედისა ჩარხი
უკუღმა დაატრიალოს.
უნდა რომ არეს არწმუნოს
„ვერ მჯობს მე გაზაფხულიო“,
ხან ილამება ბოროტი,
თითქოს სწყურს სხვისი წყლულიო.
ხედავს აღსასრულს ციგ-ბნელი,
სიცოცხლეც გამოელია,
იმედს არ კარგავს, კვლავ ყინავს
აღარ შეუშვა ხელია.
მიკვირს—არ ესმის, რომ წყლულსა
გესლი და შხამი ვერ კურნებს!
არე სხვას უხმობს საშველად,
არე სხვა წამალს შეყურეს.
და ეს ხმა არის ხმა დიდი
წამალიც უეპარია...
„გაზაფხულდება, დათბება“
მას ელის მთა და ბარია.
და ზამთარს გაანადგურებს
ზაფხული სიცოცხლიანი
არეს სურნელით დაატკბობს
ბაღები ვარდებ იანი...
ზამთარს ზღვას მისცემს ზაფხული
ნიაღვარს გაზაფხულიო,
არეს კი ძღვნათ და საჩუქრათ
შვება და სიხარულიო...*)

**ცალხელი** (ცახელი)

*) ორივე ლექსს საცენზურო კომიტეტის მიერ შემდეგი რეზოლიუცია აქვს წარწერილი: საცენზურო კომიტეტის 21 იანვ. და 27 იანვ. ჟურნალის თანახმად **გადაწყვეტილია**: ვინაიდან მიმდინარე მომენტზე ტენდენციურად მიუთითებს, დაბეჭდვა აიკრძალოს.

კომიტეტის თავმჯდომარე ხელის მოწერა).
მდივანი: (ხელის მოწერა).

# 60.000 ჰექტარი ჩაი.

1928 წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციები გაშენდა უფრო მეტ ფართობზე, ვიდრე მთელი ჩაის მეურნეობის არსებობის განმავლობაში (ამ კულტურის დასაწყისი ეკუთვნის 1895 წ.). 1929 წელს ეს ფართობი თითქმის გაორკეცდა (არსებულ 3925 ჰექტარს მიემატა 3846 ჰექტარი) და მიაღწია 7841 ჰექტარს. ეს საქართველოს ჩაის კულტურის განვითარების სწრაფი ტემპის მაჩვენებელია.

უკანასკნელ ხანებში წარმოიშვა ჩაის ახალი რაიონები, რომელთაგან პირველი ადგილი ოზურგეთმა დაიჭირა, სადაც ჩაის ნათესის ფართობი უდრის 3222 ჰექტარს (ომის წინადროინდელი 28 (!) ჰექტარის ნაცვლად). ჩაის პირველი ხუთწლედი, 5.000 ჰექტარი, დიდი ხანია მიეიწყებას მიეცა. მეორე ხუთწლედი, 20.000 ჰექტარი, 1928 წლის მუშაობის შედეგების გამო უარყოფილ იქნა. ამ შედეგებმა გვიჩვენა, რომ ეს გეგმა ჩვენ შესაძლებლობაზე გაცილებით ნაკლებია.



1929 წელი იყო არა მარტო ხუთწლედის ახალი ვარიანტის, 40.000 ჰექტარის, შემოწმება, არამედ ეს იყო შემოწმება გეგმით გათვალისწინებულ ყველა შესაძლებლობისა. ამჟამად ა. კ. მთავრობის ორგანოებში ეს გეგმა გაძლიერებული ტემპით მუშავდება. 40.000 ჰექტარამდე ჩაის ფართობის აყვანის მნიშვნელობა სჩანს შემდეგიდან: ხუთწლედის ბოლოსთვის ოამჩათიბული ჩაის გამოშვება შეადგენს 3.260 ათას კილოგრამს, ხოლო ჩაის ბუჩქების ზრდის პერიოდის დასასრულისათვის, როდესაც ისინი სრულ მოსავალს მოგვცემენ (1940 წელს), ეს ციფრი მიაღწევს 20 მილიონ კილოგრამს, ანუ ომის წინადროინდელი მოთხოვნილების 65 პროცენტს. ცხადია, ეს დიდათ შეამცირებს ჩვენს დამოკიდებულებას საზღვარგარეთთან. უკვე ხუთწლედის განმავლობაში ჩვენ მოვიტოვებთ 9-10 მილ. მანეთს საზღვარგარეთიდან ჩაის შემოზიდვის შემცირებით, ხოლო ჩაის სრული შეგროვების შემდეგ ეს ეკონომია მიაღწევს 30-35 მილიონ მანეთს, ვალუტით.

**გ. ლინდი.**

# კარაოცი

## კომედია მოთხრობად*)

მეორე დღეს შეურიდნენ ლონგინოზს, რომ შენ ჩვენ ქალიშვილს სუფრაზე, საჯაროდ, აკოცე. წუხელ ლოგინში მიუვარდი, ცოლქმრობას შეპირდი და ეხლა რომ უარი სთქვა, პატიოსან ოჯახს თავი მოეგვეჭრებაო და იმავე დილით ლონგინოზის და სოფიოს ნიშნობა გამართეს.

მეორე-მესამე კვირას ლონგინოზმა იფიქრა: ცოლი რა ბარგად ავიკიდეო და უარი განაცხადა, მაგრამ ბიუხტა ფიდო დათუკიძე, ხანჯალი იშიშვლა და უთხრა: ან სოფიო შეირთე, ან ეს ხანჯალი ირჩიეო!

აქ ჩაერივნენ: მშობლები, ნათესავები, მეზობლები და ლონგინოზს ჯვარი გადასწერეს. ლონგინოზი ეკლესიაში არ შედიოდა, სამოქალაქო წესით ვიქორწილებო, მ.გრამ ჰკრეს ხელი და პირდაპირ მღვდელს დააჯახეს.

როცა შვილები გაუჩნდა და კისერზე ულელი დაედო, გაიძახოდა: ცოლსა დიდი ცომი უნდა, ასი ლიტრა საფანელიო! ეს, ოჯახი მე მღუპავს! მე სხვა მოწოდება მქონდაო.

**ლონგინოზის გაქანება ზერეთის მაშტაბით**

ერთს მშვენიერს დღეს, დილით წ.მოდგა თუ არა, საუზმეს არც კი დაუცადა, შესძრა მთელი ზერეთი. ყველას სათითაოდ ჩამოუარა და კრებაზე მოიწვია. იქ დამსწრეთ განუმარტა კოოპერაციის მსგავსი დუქნის დაარსების საჭიროება, რომ ჩარჩ-ვაჭრე ისათვის კრიჭა შეეკრათ და მოგება ხალხის სასარგებლოდ დაეტრიალებინათ.

ლონგინოზმა მშვენიერი ლაპარაკი იცოდა და ყველა დაარწმუნა, რომ საჭიროა დაარსდეს ყოველნაირ საქონლის სავაჭრო „ხ.ლხის მეგობარი"! პაი—ათი მანეთი! თვითონ ჰყიდდა მამისგან დატოვებულ ვენახს ორმოცდა ათ თუმნად და საპაიოდ შეჰქონდა. კიდევ საჭირო იყო ორმოცდაათი კაცი თითო თუმნიანი, რომ ასი თუმანი შემდგარიყო და თუ ასი თუმანი ექნებოდათ, მაშინ მრეწველები ათას თუმნის საქონელს ანდობდნენ.

მართლაც ვენახი, ლირებული სამას თუმნად, თავის მეზობელ ფიდო დათუკიძეს მიჰყიდა და შეუდგა სხვა ამხან.გებისგან პაიების შეგროვებას. წლის თავზე „ხალხის მეგობარი" გახსნეს.

საქმე კარგად მისდიოდათ და ამხანაგებიც ემატებოდათ, ლონგინოზს ფრთები შეესხა და ბეჯით შეადგინა, რომ სხვა რაიონებშიაც გახსნას განყოფილება არა ერთი, არამედ მრავალი; როცა ადგილობრივ მაზრას დაიპყრობდნენ, შემდეგ გ.დავიდოდნენ სხვა მაზრებშიაც. შემდეგ თბილისში—თბილისიდან საქმე იმდენად გაიზრდებოდა რომ იქნებ ამერიკისთვისაც კონკურენცია გაეწიათ—იქნებ კი არა, ლონგინოზისთვის ქვეყანაზე შეუძლებელი არაფერი იყო—განსაკუთრებით მაშინ, როცა ოცნებაში გაერთობოდა. მაგრამ ვაჭრებმა დაინახეს, რომ ზერეთში დიდი კონკურენტი უჩნდებოდათ, შეჰკრეს პირი და „ხალხის მეგობარზე" თვითონ ერთი სამად იაფად ჰყიდნენ საჭირო საქონელს.

ლონგინოზმა იფიქრა, თუ ვაჭრები ასე ჰყიდიან, სჩანს არ ექნებათ ზარალიო და თვითონაც გასცა განკარგულება, რომ ვაჭრების კბილის მოსაჭრელად, უფრო ნაკლებ გაეყიდათ.

ერთიც თვ ს შემდეგ „ხალხის მეგობარში" რაც კი რამ ელაგა, ჩუმად, სუვისი ხელით, სულ ფიდო დათუკიძემ შეისყიდა და თავის დუქანში დაალაგა.

ვექსილებს გ.ნაღდების ვადა მოუვიდა. „ხალხის მეგობარმა" იანგარიშა და თავნი ხომ წაგებული აღმოჩნდა, ვექსილების გასანაღდებელიც აკლდათ ხუთასი თუმანი.

ლონგინოზის მტრებმა გაავრცელეს ხმა: ფართალს ლონგინოზი ყლაპავდაო.

ფიდო დათუკიძე თავის დუქნის წინ იჯდა და ხარხარებდა: „აჰა, თქვენი ამშენებელი! ეხლა ეგ ხუთასი თუმანი თქვენ, წევრებმ , უნდა გადაიხადოთ! ასე მოუვა, ვინც ქარაოცს აჰყვება!".

წევრები საგონებელში ჩაცვივდნენ. მიაცვივდნენ ლონგინოზს და შუაზე გაჰგლეჯავდნენ, რომ სხვა მეზობლებს არ დაეცვათ!

ლონგინოზმა იკისრა ხუთასი თუმანი ზარალი.

ორ სართულიანი სახლი და ერთი სხვა ვენახი საჯარო ვაჭრობ.ს დროს ფიდო დათუკიძემ დაინარჩუნა, ისე რომ გროში არ დახარჯვია.

თვითონ „ხალხის მეგობრის" მოვალე. ფიდო დათუკიძის ემართა ექვსასი თუმანი და ეს ვექსილი მოვალეს თვალებზე მიაფარა და ლონგინოზის ქონებას თავისი ყადაღა დ..ადო, რის შემდეგ სამუდამოდ დაინარჩუნა.

ლონგინოზი გადაბარგდა მეზობლის სახლში და ქირ.ს იხდიდა. ცოლი ბევრს ტიროდა, მაგრამ ლონგინოზს წარბიც არ შეუხრია!

— არავის შერჩება ერთი დროება და მით უმეტეს ჩარჩ-ვაჭრებს.

ამ დროს ლონგინოზი უკვე ორმოც წელს გადაცილებული იყო, ისევ მასწ-ვლებლობას მიჰყო ხელი და თავის ცოლშვილი ძვრილ პურზე გამოჰყ.ვდა. მისი ოჯახის მდგომარეობა მაშინ შეისუბუქდა, როცა მისი ქალიშვილი ხენე ითხოვა დიანო ზარიძემ, ხოლო მისი უფროსი ვაჟი ილიკოც თბილისში წავიდა და დედძამას ჩამოშორდა.

**უბედურება, რომელიც ლონგინოზისთანა „რჩეულებს" ნებისყოფას უკაფებს.**

ლონგინოზს ერთხელ თავის კვლევა-ძიებაში ყველაზე დიდი მარცხი მოუვიდა, რის გამო ცოლი თუდამ წამოაყვედრებდა.

როდესაც ლონგინოზს პირველი ვაჟი-შვილი ეყოლა, დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ აღეზარდა, რომ ჯანმთელი გამოსულიყო. „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული ცოცხლობს", იძახოდა სადღაც გაგონილს ბერძნულ ანდაზას.

შეიძინა რამდენიმე წიგნაკი ბავშის აღზრდის შესახებ.

ერთს ბროშიურაში ამოიკითხა, რომ ბავშვი ხშირად უნდა აბანაოთ და კარგი იქნება, თუ ყვავილების და მცენარეების წვენში აბანავებთ, ეს წვენი ბავშს კანს უმაგრებსო.

ნაჩვენები იყო რა მცენარე, ან რანაირი ყვავილი.

ამოიკითხა თუ არა ეს აზრი, გაუენებამდის ბორგავდა.

მალმალე იტყოდა: ეს ოხერი რატომ არ თენდებაო! საათი საუკუნედ ეჩვენებოდა.

დილით ადრე ტყეში წავიდა, ვენახში შეიარა, ეძებდა ბალახ-ბულახს და იმ ყვავილ-მცენარეებს, რომლებიც წიგნში ნაჩვენები იყო.

შუ-დღისას სახლში დაბრუნდა და მოიტანა მოზრდილი იდლია, მისი აზრით, „ჰიგიენური" ფლორა.

თვითონ გადმოადუღა და ცოლს უთხრა:

— აბა, მოიყვა ჩვენი ბიჭუნია!

ცოლი შეფიქრიანდა.

— რა თვალები დაგიჭყეტია, ჩემი შვილი ჰიგიენურად უნდა ავზარდო, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღმა სულმა იმოძრაოსო!

ცოლი ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ლონგინოზი თუ რამ.ს აიჩემებდა, ველარ გადაათქმევინებდით.

წყალი ტაშტში ჩაასხა და ბავში თვითონ აბანავა.

ბავში წიდოა, ფეხებს ფშლეკავდა, მამას წიხლებს ესროდა.

დედა ჰგრძნობდა, რომ ბავშს რაღაცა აწუხებდა და ეუბნებოდა: ადამიანო, მაგ ბალახ—ბულახით ბავში არ მოხიბლო, მაგრამ ლონგინოზი შეუტევდა:

— რა გესმის, შენ მეცნიერების რა გაგეგებაო!

რამდენიმე საათის შემდეგ, ბავშს ჯერ თვალები დაუსივდა, მერე ფეხები, გაიგუდა და ისე მოკვდა, რომ ექიმის მოყვანაც ვერ მოასწრეს.

როდესაც ლონგინოზს სამძიმარს ეტყოდნენ იგი სხვებს ანუგეშებდა:

— არაფერია! არაუშავს-რა: ასეთი უბედურება რჩეულებს ნებისყოფას უკაფებსო!

მოატიოსალ სოფიოს კი შეაახჩუოავდა:

— რა დაგემართა? „ერთი წავა და სხვა მოვა ტუოფასა საბალნაროსა!" შენ გგ.ნია, მოთამ არ იცოდა, რომ ჩემისთანა კაცს, რაიც ძალიან იშვიათია დედამიწის ზურგზე, ასეთი რამ შეემთხვეოდა და მიტომ იწინასწარმეტყველა: ერთი წავა და სხვა მოვაო!

**ლონგინოზი ულიარებელი გენიოსი და ლირიკის ნოვატორი, რომლის ლექსებით იკურნებოდნენ**

ლონგინოზს აუარებელი ლექსები, პოემები და 30 მოქმედებიანი დრამა—ტრაგედიები ჰქონდა. რედაქციები მას არ უბეჭდავდნენ, რის გამო ყველა რედაქტორს იდიოტს ეძახდა.

— რომელ ეპოქაში ყოფილა, რომ გენიოსი მაშინვე გენიოს.დ ეცნოთ და დაეფასებინოთ? ისინი ან დევნილები იყვნენ, ან სიკვდილის შემდეგ გაბოწყინვებულა მათი სახელი! დანტე განდევნ.ს, გალილეის კოცონი შეუნთეს და განა მე დამიფასოიეს? მე, რომელიც გალილეიზე უკეთესი აღმომჩენი ვარ და დანტეზეც უკეთეს ლექსებს ვწერ? თუმცა დანტეს პოემას მეც კი მოვაწერდი ხელს..

ლონგინოზის რამდენიმე ლექსი ხელში მეც ჩამივარდა, როცა რედაქტორი ვიყავ. მინდა მკითხველებს გავაცნო, თუ როგორი გენიოსი იყო და დანტეს რით ეტოლებოდა:

პლაგიატობას ნუ დასწამებთ, რადგან ვადასტურებ, რომ ეს ლექსები შემდგომ პოეტებზე ადრე იყო დაწერილი.

აი ნიმუშებიც:

„რატ რუტ რადორი...
„როგორც ოფოფი რახბულაჰენს
თაგორი.
„მატარებელი გარბილადობს ლიანდაგიდან...
„ოხოხი... ბოხოხი
„ყიყლიყო და ელექტრო.....
„მთვარე ასკუპდა ფურთხი როგორც
ბურუსი...
„თუმცა ნადირი კაცმა იქცა,
„მაიმუნი—თუთიყუშში!

ეტყობა, ლონგინოზის ტვინი დარვინს ძალიან „მეექანჯალებია", რომ დარვინს გადააჭარბა და მაიმუნი თუთიყუშიდან წარმოშვა. რასაკვირველია, დამახინჯებული ქართულით!

---

*) დასაწყისი იხ. „ფრონზა" № 2,

სატრფიალო ლირიკას უთუოდ საკუთარ განცდით სწერდა, რადგან შედარებით ნაკლები აბდაუბდა იყო, თუმცა ბოდვა აქ უფრო შეფერებოდა, როგორც ეროსისგან გახელებულს.

აი ეროტიკის ნიმუშიც:

„ვაი, ვაი, ვაი! მაკოცა და ვაკოცე!!!!!
„ყელში, ყურში, ფეხის გულში...
„მერე მიკბინა და ვუკბინე!..
„ოცნების ტუჩით. . . . . . .
„. . . . ოხ! ოხ! ოხ!...
„ ! ! ! ? ? ? ! ! !
„. . . . . მიხვდა ჩემს ამბავს . . . .
„იძრობდა საბანს... ვსტიროდი!!!
„შენ გენაცვალე! შენი ჭირიმე!!

**ლონგინოზ ტურაბელი *)**

რას ნიშნავდა წინდაუკან ამდენი წერტილები, ან გაკვირვებითი ნიშნები?

ლონგინოზი დარწმუნებული იყო, რომ ამას მომავალი მკვლევარები ახსნიდნენ, როგორც ხსნიან შოთას ტაეპებს, და ვისაც რა მოეპრიანება, იმ შინაარსს სდებენ.

ჩემთვის უამბნიათ, ხერეთში კაცი არ იყო, რომ ლონგინოზს ყურები არ გამოეჭედოს: ა ხ ა ლ ი! ა ხ ა ლ ი! ა ხ ა ლ ი წ ყ ო ბ ა! ა ხ ა ლ ი რიტმი! ა ხ ა ლ ი მეტრი და სულ ა ხ ა ლ ი!

ეს ლექსები მე არ დავუბეჭდე და ნაგვის კალათში ვუძახე. რამდენიმე წლის შემდეგ საშინელი წყრომის წერილი მივიღე, სადაც ქვას ქვაზე აღარ სტოვებდა, საშინლად მაგინებდა და ბოლოს დასძენდა: „ჩემს შემდეგ სწერენ ამაზე უნიჭო ლექსებს და კრიტიკოსებმა ისინი პოეტებად აღიარეს, მე რად დამლუპე, რად დამასამარე? მე ვიქნებოდი მათი მამამთავარი და პირველობა დამაკარგვინე!"

ასეთი წყრომის წერილი მივიღე საპასუხოდ. ეს ლექსები თურმე ნაგვის კალათიდან ერთს ოხუნჯს თანამშრომელს ამოელო, წაეკითხა და ჩემს დაუკითხავად ლონგინოზისთვის მიეწერა:

„დიდო პოეტო ლონგინოზ!

„რედაქტორი თქვენს ლექსებს განგებ არ ბეჭდავს, რადგან მათში აღმოჩნდა ს ა ი დ უ მ ლ ო ჯ ა დ ო - თ ვ ი ს ე ბ ა. ეს თვისება აღმოაჩინა ერთმა გამოცდილმა, უფრო კი შარლატანმა ექიმმა. თქვენი ლექსებიც ყაჩაღურად გაიტაცა და მით სახელი გაითქვა. თქვენი ლექსები უებარი წამალი ყოფილა, ვინც კუჭში შეკრულია. ექიმი წააკითხებს და ავადმყოფი თავისუფლდება. შენ ჰყოფილხარ უზენაესი ნიჭით დაჯილდოვებული და მართლაც მამამთავარი ჩვენი „ა ბ დ ა - უ ბ დ ი ს ტ ე ბ ი ს". შენი ნიჭი აქ არ ჩააზრონ, წადი საზღვარგარეთ! და თუ იქ მოჰკვდები, იცოდე, ზიონტს ძვლებს ამოჰყრიან და შენ შიგ ჩაგდებენ".

თურმე ეს წერილი რამდენიმეჯერ წაიკითხა: ვერ გაეგო, სწყენოდა თუ გახარებოდა.

მაგრამ მის ლექსებს ოყნას თვისებას რომ აკუთვნებდა, ამან კი გული მოუყვანა.

— „მაინც ბრუნავს! მაინც ბრუნავს!"— იძახოდა გალილეის სიტყვებს, „ვინც რა უნდა სთქვას, წისქვილმა კი იფქვას" — ჩაილაპარაკებდა ლონგინოზი და ისევ ლექსების წერას შეუდგებოდა.

— შემდეგ დამაფასებენ!

და ეძლეოდა ოცნებას. წარმოიდგენდა, რომ ასი წლის შემდეგ მის საფლავს ეძებენ, ნეშთს მთაწმინდაზე მიასვენებენ, კახეთი იმერეთს ეცილება, ქართლი არც ერთს არ ანებებს და ლონგინოზი იცინის...

---

*) შენიშვნა ლონგინოზს ეკუთვნის, რითაც თხოულობდა, რომ გაზეთში გვარი მსხვილი ასოებით აეწყო და ლექსი მეთაურის წინ გაეშვა.

— აბა, თქვე უმადურებო! თითქოს გენიოსი არ ვიყავ! ეხლა? როცა ჩემი ძვლების მაგიერ ვიღაც მეკუტნის, თუ მკალავის ძვლებზე ჩხუბობთ? ეხლა? ხომ ვარ ერთი მე და მეორე... მეორე არავინ არის... გამართლდი? ვარ თუ არა ნოვატორი? პოეტების მამამთავარი, მათი მეფე?

თავის წარმოდგენაში ლონგინოზი მომავალ საუკუნოებს შერცხვენის ბოძზე აკრავდა.

პოეტურ სიჯიუტეში დიდი ნებისყოფა ჰქონდა. სწამდა, რომ ახალ გზას იკვლევდა და შემდეგ ყველანი მას მიჰბაძავდნენ, რის გამო — ცოლის თქმით — სიზმარში წამოიძახებდა: „მე ვარ ზეკაცი!", „მე ვარ პოეტების მეფე!", „მე ვარ მიჯნურთა პოეტი და რაინდი უდრეკელი და გულმაგარი!" „ლირიკი, დრამატურგი! ყველაფერი!"

არ ვიცი, ეხლა რა აზრისაა, სწერს-და თუ არა, მაგრამ მაშინ ვერ გადაათქმევინებდი თავის გენიოსობას, თუნდ სახრჩობელაზე აგეყვანათ.

ბოლოს მექანდაკეობაც-კი დაიწყო და აყალო ტალახით მისი სახლი მუდამ მოსვრილი იყო, რის გამო ცოლთან დიდი უსიამოვნება მოსდიოდა.

— ადამიანო — ეტყოდა ცოლს — გენიოსის საიდუმლოება იმაშია, რომ ყველაფერი იცის!

ერთხელ ძალიან გულმოსული იყო. მეგობრისაგან წერილი მოუვიდა, სადაც სწერდა, რომ თეატრში შენი ტრაგი-კომედია დაუსრულებელ მოქმედებებით უარყოფილ იქმნა, რადგან მომქმედი პირი ას კაცამდე კვდება და ამდენი მსახიობები არ მოეპოვებათო.

ბოლოს დაცინვით ანუგეშებდა: მაგრად იყავ, ლონგინოზ! შენ ხარ ლოპე-დე ვეგა კალდერონით და შექსპირ-შილერის მიმატებით, მაგრამ ხარ „Непризнаный гений", რომელიც ათას საუკუნეში მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ი იბადებაო!"

ლონგინოზს აქ კი გული მოუვიდა:

— როგორ? მე ვარ უღიარებელი? მე, რომელსაც შემიძლიან მსოფლიო მწერლებს გავეკამათო, და მრავალს მოგვერდიც ვუყო? იდიოტი რედაქტორები და გაზეთში მჯღაბნელები კი ჩემზე ოხუნჯობენ! მე აათ ვაჩვენებ!

მეორე დღეს მათის გამოჯავრებით შეკრიბა ხერეთის ამხანაგები, ნათესავები, მეგობრები. კარგი სადილი გ უმართა, დაათრო და წინასწარ შედგენილ ტექსტზე ხელი მოაწერინა, რომ ლონგინოზი იყო და არის შეუდარებელი მგოსანთა მგოსანი, ცნობილი პირველი და უკანასკნელი!

ეს სიგელი ჩასვა ჩარჩოში და კედელზე დაჰკიდა.

ლონგინოზი უკვე კმაყოფილი იყო, რადგან ყველაფრის დასამტკიცებელი საბუთი ჰქონდა: გენიოსობის, პოეტობის, პირველობის და სხვა და სხვა... „ქორხალის მჯღაბნელებზე"-კი ამბობდა: ძაღლი ჰყეფს და ქარავანი მიდისო!

ამის შემდეგ სულ იმას ფიქრობდა, თუ მომავალში მის მიმართულებას ლიტერატურაში რა სახელწოდებით მონათლავდნენ. შიშობდა „ქარაოკიზმად" არ მოეთვალეიხათ, ამიტომ თვითვე შეუდგა ტერმინის გამონახვას, რომ რომელიმე ნაწერისთვის წინასიტყვაობა გაეკეთებინა და თავის დასახასიათებლად ეს ტერმინი ეხმარნა.

— სახელწოდებაც უნდა არსებობდეს. მე ხომ ახალ ცხოვრების წარმომადგენელი ვარ? ამიტომ ამის შესაფერი სიტყვაც უნდა გამოვნახო. „ახალი ცხოვრებიზმი!" ე არ ვარგა! „ცხოვრების ახალიზმი", არც ეს ვარგა. სჩანს, უცხო სიტყვები უნდა იყოს!

და დაიწყო ჩხრეკა უცხო სიტყვათა ლექსიკონში.

ნახა: ბიოს — ცხოვრება; ნოვა — ახალი; ბიონოვა, ბიონოვიზმი! ბიონოვისტი; ბიონოვისტური; ყველა ჩემი მიმდევრები იქნებიან „ბიონოვისტები". დიდებულია! ისმინეთ! ჩემს მიმართულებას, ჩემს შემოქმედებას ჰქვიან ბიონოვიზმი! ასეთი მიმართულება პირველია! ეს არც აქ არის, არც ევროპაში! მხოლოდ კრეტინი გაზეთის მჯღაბნელი უწოდებს „აბდა-უბდას". მაგრამ იქნებ სჯობდეს, ტერმინი თვით ჩემი გვარიდან წარმოსდგეს? აბა ვიფიქრო! ტურაბელი! ტურაბელიზმი, ტურბელისტი! ესეც კარგია! ესეც კარგია! ორივე კარგია!

ლონგინოზ ტურაბელი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. რამოდენიმე ხნის განმავლობაში, ეძინა თუ ღვიძა, გაიძახოდა: ბიონოვიზმი, ტურაბელიზმი! დაე, ორივე იყოს — ჩემმა მიმდევარებმა რომელიც უნდათ, აირჩიონ! თუმცა ჩემი გვარიდან სჯობია, რადგან უფრო მშობლიურია... ადგილობრივი, რომელიც ინტერნაციონალში გადავა.. ევროპასაც დაიპყრობს... და ვინ იცის, იქნებ მშრალ ამერიკასაც ეწვიოს... „იქნებ" კი არა, უთუოდ ასე უნდა იყოს!

**ლონგინოზი საყვარელს იჩენს მეტი განცდების მისაღებად, რის გამო გვერდებს მიუბეგავენ.**

ლონგინოზი ერთხელ დაფიქრდა და სთქვა: სიყვარულზე ამდენს ვწერ და მე კი ნამდვილად არაფერი გამიცდია, გარდა ჩემს ცოლთან... უნდა ვცადო და საყვარელი გავიჩინო... თითქმის ყველა დიდს პოეტს თავისი „მადონა" ჰყავს, მე რა მათზე ნაკლები ვარ? მაშინ ჩემს ნაწერს უფრო მეტი სისხლი და ხორცი მიეცემა!

იფიქრა, იფიქრა, რომელი ქალი უფრო მისი შესაფერი იქნებოდა და მისი ყურადღება შეჩერდა ერთს დედაკაცზე, რომლის ქმარიც გზებზე ქვის მტვრევი იყო — სახელად თომა, მის ცოლს კი ერქვა მ ა ნ ა ნ ა.

მანანა იყო ლაშებ დაშვებული, თვალებ დაჭყეტილი. როცა გაჩერდებოდა და ვისმეს ყურს უგდებდა, უთუოდ დორდლი ჩამოვარდებოდა. გავა კი სქელი ჰქონდა — ალბად ლონგინოზს ეს მოეწონა, როგორც ყასაბს მსუქანი ღორი!

მანანას ქმარი ერთი ახმახი და ღონიერი მუშა იყო. ძარღვები რკინასავით გამაგრებული ჰ ქ ო ნ დ ა, კაცისთვის რომ ხელი მოეკიდა, სულ დაამტვრევდა.

ლონგინოზმა რამდენჯერმე თომას ეზოს აუარ-ჩაურა. მანანა ეზოში იდგა და გამოელაპარაკა.

ლონგინოზმა არც აცია, არც აცხელა, პირდაპირ მიახალა:

— მიყვარხარ, მანანა!

ქალი გაშტერდა: ამ კაცს სიცხე ხომ არ აქვსო, მაგრამ ბოლოს დარწმუნდა, რომ ლონგინოზი აღარ ხუმრობდა.

არ ვიცი, მანანა წინადაც მსუბუქ ყოფაქცევისა იყო და ლონგინოზისგან გამორჩენას ელოდა, თუ ლონგინოზის ასეთი გაბედული იერიშით გადასვლა მოეწონა, უარი არ გაუცხადებია.

ამის შემდეგ მანანა ლონგინოზს „კეთილ ნათლიას" ეძახოდა, ხოლო ლონგინოზი მანანას „საოცნებოს".

„კეთილ ნათლიას" და „საოცნებოს" პაემანის ნიშანი ჰქონდათ, რომ ლონგინოზისთვის ახმახ ქმარს არ მოესწრო.

ეს ნიშანი ლონგინოზმა მოიგონა.

**სანდრო შანშიაშვილი.**

(გაგრძელება იქნება)

# თ ო რ მ ე ტ ი   წ ე ლ ი

## წითელი არმიის 12 წლის შესრულების გამო.



კავალერიის მანევრები. ამხ. ვოროშილოვი და ბუდიონი; ფლოტის მანევრები—„პარიზის კომუნა", საომრად გამზადებული, ქვეითა ჯარში ტყვიის მფრქვეველები. წითელარმიელი შხამიან გაზების საწინააღმდეგო პირსაფარით. ბალტფლოტის მატროსები.

წითელი არმია იბრძოდა და იმარჯვებდა რადგან მას მართავდა და უჩვენებდა გზას ლენინის ძლიერი, ფოლადისებური პარტია თვით გამობრძმედილი მრავალ ბრძოლებში.

როდესაც წითელმა არმიამ გასწმინდა ყოფილი რუსეთის იმპერია ყველა კონტრ-რევოლიუციონერი ელემენტებისაგან, იგი გადაეშვა სამეურნეო ფრონტზე, აქაც წითელმა არმიამ გამოიჩინა უდიდესი სიმტკიცე, მხნეობა და აჩვენა ყველას, რომ იგი ისევე კარგად ხმარობს ნიჩაბს და წერაქვს, როგორც თოფს

მე-3-ე არმიამ, რომელმაც გაანადგურა კოლჩაკის ჯარები, მოკლე ხანში აღადგინა ყაზან-ეკატერინებურგში რკინის გზა, შეაკეთა 663 ორთქლმავალი და 3.274 ვაგონი.

კავკასიის მე-8-ე არმიამ, რომელმაც გასწმინდა ჩრდილოეთ-კავკასია დენიკინის ბანდებისაგან, რამოდენიმე თვის განმავლობაში აღადგინა გროზნოს ნავთის სარეწაოები.

—

მუშურ-გლეხური წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობა იზრდება და მტკიცდება ყოველდღიურათ. წითელი არმია თავისი შეგნებით მაღლა სდგას ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოების ჯარებზე. შეიარაღებით და დისციპლინით იგი არ ჩამორჩება არც ერთ სახელმწიფოს არმიას.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის დროს შექმნილმა შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებულმა არმიამ თავისი გმირული მოქმედებით უჩვენა მთელ მსოფლიოს, რომ მუშურ-გლეხური წითელი არმია მტკიცედ სდგას საბჭოთა კავშირის საზღვრების სადარაჯოზე და იგი არავის მისცემს ნებას გადალახოს ეს საზღვრები და დაარღვიოს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მშვიდობიანი შრომა და აღმშენებლობა.

შორეულ აღმოსავლეთის არმიის მებრძოლებმა ბევრჯერ განუცხადეს საბჭოთა კავშირის მშრომელებს; „იმუშავეთ გულმოდგინეთ ხუთწლიან გეგმის განსახორციელებლად. დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ არ მივცემთ მტერს საშუალებას გადმოდგან ერთი ნაბიჯიც კი ჩვენს ტერიტორიაზე". მებრძოლებმა ეს თავისი პირობა ბრწყინვალედ შეასრულეს.

—

1930 წლის 23 თებერვალს, სრულდება 12 წელი, რაც ჩაეყარა საძირკველი მუშურ-გლეხურ წითელ არმიას.

წითელ არმიას დღესაც მაღლა უჭირავს მრავალ ბრძოლებში გამარჯვებული, მრავალ მებრძოლთა სისხლში შეღებილი წითელი დროშა.

და დღეს, როდესაც საბჭოთა კავშირში ხდება უდიდესი გარდატეხა როდესაც იმარჯვებს სოციალიზმი და სოფელი მიდის წინ სოციალიზმის გზით, წითელი არმია სდგას აქაც პირველ რიგში და თავდადებით იბრძვის ახალი ცხოვრების განსამტკიცებლად.

წითელმა ყაზარმამ გადაისროლა სოფლად მებრძოლთა ბრიგადები, რომლებიც მოედვნენ სოფლებს, შეუკეთეს გლეხებს სასოფლო-სამეურნეო იარაღი, მოუხვნეს მიწები და ჩაატარეს სააგიტაციო და ახსნა-განმარტებითი მუშაობა. კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის მებრძოლთა ბრიგადამ ორი კვირა იმუშავა აბაშის რაიონში და ჩამოაყალიბა რამოდენიმე კოლექტივი სოფლად. ლაგოდეხის რაიონში ამავე არმიის ბრიგადამ ჩაატარა უდიდესი მუშაობა კოლექტივიზაციის დარგში.

საკავშირო სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანებით, მიმდინარე წლის შემოდგომაზე წითელმა ყაზარმამ უნდა მისცეს სოფელს 100.000 მუშაკი კოლმეურნეობებისათვის.

თავისი არსებობის მე-12-ე წლის თავზე წითელ არმიას აქვს სრული უფლება სთქვას, რომ იგი მტკიცედ და ურყევად სდგას საბჭოთა კავშირის მშრომელთა ინტერესების და სოციალისტური მშენებლობის სადარაჯოზე.

წითელი დროშით ხელში მუშურ-გლეხური წითელი არმია ურყევად მიდის წინ ახალი გამარჯვებისაკენ საბრძოლო და სამეურნეო ფრონტებზე.

**მხედარი.**

# მორიგი გამარჯვება
## (ალაზნის არხი)

ალაზნის ველის მდიდარი და ნოყიერი მიწები მრავალი წლების განმავლობაში უსარგებლოდ იყო მიტოვებული. კახელი გლეხი ვერ იყენებდა ამ მიწებს, რადგან ეს მიწები ურწყავია. ალაზანიც მუქთად მიაგორებდა თავის ტალღებს და ვერ რწყავდა თავისი წყლით რამდენიმე ათას ჰექტარ ნოყიერ მიწას.

ალაზნის არხის აგება უახლოვდება დასასრულს. სათავე უკვე მზად არის, მზად არის არხიც 42 ვერსის მანძილზე დაწყებული ველისციხიდან კარდანახამდე. ერთი თვის შემდეგ გაშვებული იქნება წყალი არხში და მოირწყვის 20.400 ჰექტარი მიწა. მოკლე ხანში დამთავრდება არხის გაჭრა წნორის წყლამდე და ის მიწები, რომლებიც არ იძლეოდენ არავითარ ნაყოფს, აბიბინდება მწვანედ და შესძენს კახეთს უამრავ დოვლათს.

ამჟამად არხზე მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა. რამოდენიმე ათასი მუშა სჭრიან მიწას, ამზადებენ მასალას არხისათვის და ელექტრო-სადგურისათვის, რომელიც ამუშავებული იქნება ალაზნის წყლის ძალით.

ალაზნის არხი წნორის წყლიდან გაგრძელებული იქნება შირაქამდე და მიაწოდებს წყალს ქედის კომუნის მიდამოებს. სათანადო მუშაობა არხის გაგრძელებისათვის უკვე სწარმოებს და მდინარე ალაზანი, რომლის წყალი მუქთად იკარგებოდა, ეხლა გამოყენებული იქნება კახეთიი კოლექტივების მიწების გასანოყიერებლად.



ალაზნის არხის სათავის მალქაფა (щиты), საიდანაც წყალი გაიშვება არხში.
ალაზნის არხის ვის ცილინდრის გადატანა.

ალაზნის სათავე ჩასაკეტ ცილინდრის ჩაშვებამდე.
ჩასაკეტ კილინდრის ჩაშვება.

ფოტო—ი. ტორძი
ცილინდრის ჩაშვების შემდეგ.

## კოლექტივიზაციის ფრონტზე



# აი, მოკეთე!

## რკალი პირველი

### 1. წინა დღე!

გაძარცულ ხეებზე ჩხაოდენ ყორნები.

იყო ზამთრის ცივი ქარი, ქარყინვა, თოვლით გახელილი ტყვიისფერი დღეები.

იყო ცა გარინდული, ნაბუქით გაგვიჟული ჰავხევები, ვიწროები, ფერდობები და შორეულები.

თოვლქვეშ მიჭგუგუნებდენ ავტოები ქუჩებს და ქუჩები იყო: მრავალსართულიანი სახლებით, ეკლესიების ნაცრისფერი გუმბათებით, თოვლის სიმძიმით დახრილი მავთულებით და ფილაქნებზე საჯენკად დაყრილი ბელტებით,

მთებს იქით, თოვლის თეთრ უსაზღვროებაში გაისმოდა ქვეყნების გუგუნი. გუგუნი იკარგებოდა ბოლოს.

გარბოდენ ქალაქიდან.

მიჭგუგუნებდა ავტოები ავტოებს.

მიათრევდენ დროგები ზ.ბაკებს.

ზედ უწესრიგოდ ეყარა: ტომრები, კამოდები, ხალიჩები, მაფრაშები.

დაღმართზე დროგი აჩქარდა. შეინჯღრა. გადმოვარდა ყვითელი ყუთი. ყუთში სერვიზი აღმოჩნდა და ერთიანად დაიმსხვრა.

ქალმა კივილი მორთო და როგორც ეს ქალი, ისე ჰკიოდა ორთქლმავალი სადგურში.

მირბოდენ სადგურისაკენ: ვინ ფეხით, ვინ ეტლით, როგორც ეს მოხერხდა.

### 2. მივდივართ!

ფანჯრებზე ჩამომხმარი ყვავილებია და როგორც ამ ყვავილებს ისე შეჰხაროდა მზეში აყვავებულ დღეებს ცაცუ.

წაიღდეს მოღრუბლული დღეები. ჩამოხმა ყვავილები და პატარა მაგიდაზე ჩამოწყობილ იისფერ ფლაკონებში, არ ბოჰყვიალებენ წამწამებად გამორტყოცნილი მზის კარვისფერი სხივები.

ჩამოხსნეს ფერადი ფარდები, ხალიჩები და თვალმზიდი ფოტოგრაფიები.

— ცირა ცაცუ!

ცირა ცაცუ!—უძახდა ოტია.

— რა იყო ბაბაჲ!

— აი, ესენი ერთად დააწყვე! ოღონდ ჩქარა!

უწესრიგოთ ეყარა ნივთები იატაკზე.

მწვანე საცარძლები პატარა ოთახში ჩაჰკეტეს.

ოთახში იდგა მუქი ბინდი, გაურკვევლობა, შიში და სარკმლიდან მოსჩანდა დარბეული ტოტები მაგნოლიის, გაწყვეტილი მავთულები ტელეფონის, მოქალაქეების გარბენილი სილუეტები.

— სად წავიდა ბადუ?! — აკანკალებული ხმით იკითხა ოტიამ.

— რა დაიბარა!

— არაფერი!

— დალახვროს ღმერთმა!

— ვისზე ამბობ მაგას!

— ყველაზე, ყველაზე, ყველაზე!

მთებს იქით: თოვლის თეთრ, თვალუწვდენელ სიშორეებიდან, შორეულებიდან არ მოისმოდა ზარბაზნების გრუხუნი.

იყო სიჩუმე. შიში თუ გაურკვევლობა!

გამოხუნებულ ყვითელ პიჯაკით, მუქ ფერგადაკრულ ცი. ინდრით—სხეულ აკანკალებული, თვალები უაზროდ დაჭყეტილი შემოვარდა ბადუ და...

— მივდივართ!—წამოაბრიალა მხოლოდ.

...და დასტოვეს ოთახები: ცივბინდიანი. ცარიელი. ოთახში ბრწყინავდა ოტიას მიერ დაგდებული პაპიროზი. ბოლი ლილისფრად ასდიოდა. საჭირო იყო მისი საფერფლეში ჩაგდება, მაგრამ სადღაა საფერფლე?! საფერფლე რომ იყოს სადღაა ამლები?!

### 3. სადგურისკენ!

ისინი დროგზე დამჯდარიყვნენ. ზედ ორი ყუთი ედო.

ბადუ წელში მოკაკულიყო და ცილინდრი სახეზე ჩამოეფარა.

ჯახრიკა ცხენი ძლივს მიათრევდა მათ. ბადუმ ეს ვერ მოითმინა. ვიღაცამ ეტლით ჩაიქროლა. ბადუს შეხედა. ნაცნობი გამოდგა. შერცხვა მას.

— ბაბაჲ ფეხით წავიდეთ! წამოიძახა მან, მაგრამ ოტიას ხმა არ გაუცია.

დროგი მიჯაგჯაგებს, მიხრიგინებს ქვებზე.

ხალხია წინ. ხალხია უკან. ყოველმხრივ, ყოველ ქუჩებიდან, ყოველ სახლებიდან სადგურისაკენ.

სადგურზე ირევა ხალხი. რონოდებში არ არის ტევა. კონდუქტორი იგინება.

რონოდის ერთ-ერთ კუთხეში მიტმასნულიყო ბადუ, იქვე იყო ცაცუ, ოტია. ბადუ თრთოდა, კანკალებდა. ისინი კი იყვნენ სულგანაბულები.

ქალაქი იცლებოდა ასე და როცა ჩვენი გმირები უკანასკნელ მატარებლის რონოდაში იყვნენ შორიდან, უსაზღვროებიდან, ხაბუქ ჰავხევებიდან თუ ფერდოებიდან, მთებიდან თუ შორეულებიდან არ მოისმოდა სროლის ხმები.

იყო მხოლოდ სიჩუმე. დუმილი.

...და ასე ქალაქმა სოფლის ცა დაიხურა.

### 4. გზაზე.

ღამის სინესტეში მიჰქრიან მატარებლები. მიჰქ ვიან მთებს, ხოდაბუნებს, სტოვებენ უკან სადგურებს, პლატფორმებს, სოფლებს ბინდმოცულს, ჩაჩუმებულს.

დაირღვა წესრიგი. მოფორთხავენ ჯარისკაცები.

ხიდის ასაფეთქებლად ვიღაცამ ყუმბარა ისროლა. დავარდა ახლოს. გადმოყარა ცეცხლის ენები. გასკდა. დაშავდა თითონ. მოკლული აღმოჩნდა პოლკოვნიკი.

სადგურზე რონოდას ვიღაც დროული კაცი ჩამოეკიდა. დაუხსნია ფეხი, თავი ბოლობლეს და გ.სოისა. თოთქოს თვალებში შებრძოლა მ.ზიხ.ულმა და მოკეცილა.

არა, ეს ილავილი თითონ მოაჩეცს აღმოხდა უკანასკნელად და ილავილთან ერთად ამხეთქა სისხლი ბორბლებთან.

ეშელონები მიიღავიან ისევ ღამის შავ უდაბურეობას.

მოჩვენებ გადაფარებულ ნაბეჭრად ლია რონოდებიდან თოხის აღოფილი ცივი, ზარბაზნების და ტყვიაფრქვევლების ცივი ტუჩები.

ზარბაზნის ცივ ლულას მიუღცლობოდა ჯარისკაცი. მას სციოდა. თვალებში სიყვითლე მოჩუოდა (მალარია თუა) და ძვლებში ლოდე გაძვრალა.

სიბჯ-ვდა ზარბაზნის ცივ ლულას, რომელიც რამოდენიმე დღის წინ ცეცხლს, ყუმბარას ღორბლად ჰყრიდა და თითო ამ გოუტუგში, ამ ზარქში, ხიაური იოწას ასკდებოდა, თითქოს, მიწა თრთოდა.

ყუმბარის ნაგლეჯები არღვევდა იალაღებს, ფერდობს, გუმბათებს, ქოხმახეს და ნასხვოვები ცოდებ სივოცეი.

ეხლა ცივი უძეტყველოა.

ტანმორჩილ ჯარისკაცის წინ ვიღაც ახმახი აისვეტა.

— შენ ბოლ ო ხანებში სხვანაირები იქცევი!

— სრულიად არა!

— მაბრმავებ?!

— სულაც არ ვფიქრობ!

— თავს ნუ იკატუნებ!

— რაში მდებთ ბრალს!

— მე შენი ყოველი ხაბიჯი ვიცი!

— მერე ამით რა?!

— გაფრთხილებ!

— რისთვის?!

— ბოლშევიკობ!

— ?!

— დიახ!

— ვინ!? საიდან?!

— ეს ასეა და იცოდე მიფრთხი დი!

ჯარისკაცი იდგა ფერაჭრილი, თვალებ აგზნებული. ნაცივბივით.

### 5. ჩვენთან ხომ წამოხვალ?!

ფანჯრიდ ნ მოსჩანან სოფლები, რ.მოკ ენიმე ადგილას ბჟუტავს სინათლით.

— ბაბაჲ ბადუ! ჩვენთან ხომ წამოხვალ!—ეკითხებოდა ოტია.

— დაიცა, დაიცა... ცოტა მოვიფიქრო!—პასუხობს დამფრთხალივით ატუზული.

— ბაბაჲ! გირჩევ!

მაცალე! მაცალე!

ბადუს ვერ გადაეწყვიტა თუ რა ექნა,

— რა ვქნა?

შეჰქნა ლა გულმა.

თვალებს ვერ აშორებს ღამის შავ ბოლში ჩაფლული ნაცნობ მიდამოს სამშობლოს.

რონოდის ბნელ კუთხეში ჰყვიროდა ბავში. დედა ახალგაზრდა ქალია. მას არავინ ჰყავს მშველელი.

— სადგურზე ჩემოდ.ნი მომპარეს! ვერ მოუარე მარტოკამ!—ჩიოდა იგი.

რონოდაში იდგა მძიმე სუნი, კიბეები, სახურავები, გასასვლელები ხალხით სავსეა.

ცაცუ მიუახლოვდა ახალგაზრდა დედას.

— თქვენი მეუღლე?! — ჰკითხა მორიდებით.—

— ქორწინებიდან ორი თვის შემდეგ აღარ მინახავს!.

ბადუ შიშიან თვალებს აცეცებდა.

ფანჯრების იქით იყო ბნელი, დუმილიანი სოფლები და ცივი დართვილული, ღრიჭტებია ნი მშობლიური მიწა.

სტოვებდა სოფელს, ჩვეულ ჰავხევებს, მიწას, ცას და მხოლოდ ფიქრად იყო ქცეული.

ფიკრიგით ყუჩი, ტანშეუხედვი იჯდა ერთ ადგილას და უყურებდა ცაცუს, რომელიც ალერსით აჩუმებდა ატირებულ ბავშს.

ოტია იყო გარინდული, უტყვი.

სახურავიდან, რაღაც ყრუ ბუილით ჩ.ეშვა ბნელში. სახურავზე აჭყიოდა ვიღაც. მიაყოლა ორი ქლმავალმა. აგუგუნდნენ რელსები მოუტებულად და ეს ყვირილი გუგუნში გაჰქრა.

ბავში ისევ სტიროდა.

— მე თქვენს მეუღლეს ვიცნობდი!—უთხრა ნელი ხმით ბადუმ ახალგაზრდა დედას—ის ბათარიაში სცხოვრობდა! მ ს ლეფთერს ეძახდენ!

— დიახ! ეხლაც იქ მივდივარ!

— ჩვენ ერთი გზა გვაქვს!—სთქვა ცაცუმ.

— სასიამოვნოა! დაუმატა ოტიამ.

ბავში სტიროდა ისევ.

მატარებელი კი ციჩუგუნე და უდაბურ ბნელს. გუგუნებდენ რელსები.

ოტია ისევ მიფორთხდება ბადუსთან და ერთი და იგივეს ჩასჩურჩულებდა.

ბაბაჲ! ჩვენთან ერთად ხომ წამოხვალ?!

— დამაცა! მთვისაზრდ:
— ბაბა, გირჩევ!
— დამაცა! დამაცა! დამაცა!

მიჰქროდენ რონებზე ბორბლები და მიჰგუგუნებდ ნ. გუგუნი მიდიოდა შორს და გუგუნთან ერთად ის მატარებელიც.

## რკალი მეორე.

### 1. ს ო ფ ე ლ ი

ნაპირებ მოქლევულ, ტირიფებიან ფე დობ ბ შორის მიიზლაზნება ცი.

თვალწინ ვიწრო განათხარებია, ჩამომტვრეული მთაგორები. მ ს იქით ველებია შორად დაცემული, ოპალინე, პყანტი, ჰანჰროზი, საისლე მი ები.

ჩამოძენძილი ცა დაჰყურებს სოფელს და ძლები სტირიან თოვლჭყაპში

დრო და დრო გამოანათებს მიბჟუტული მზე და დარხეული ხეების ტოტებში ისევ აშრიალდება ცა ფირუზის ხაზევებად.

ასევე ლამაზია ცა მთებში, მთებს იქით ჩამოშლილი, მაგრამ ეხ ა იქ ფოთოლია და ბუზია.

სოფელი თითქოს უზმოა.

არ ხორხოლავენ ქოხები და გარე დარჩენილი, დაძინძლული ბუ ანი თუ შეჰ მუის ქარჯიქურით შავი ზღვიდან საკაოდ ამოქროლვილი ლრუ ლებს.

სოფელი ჩუმია. უსიცოცხლო.

### 2. უსიცოცხლო პოზიცია.

ცის ნაპირ ნაპირ ფორთხავენ ჯარისკაცები

— ეს ველანი რა ტალახიანი ადგილია!— წუწუნებენ ისინი.

— გუშინ ჩვენები ჩვენებს ესროდენ!—ამბობს ერთი.

— ეს როგორ!

— თითონ ვიყავი მოწმე!

— სად?!

— სადგურზე!

— რანაირად?! სთქვი?! მოყევ!.

— ცაიშიდან წამოსულთ ესროდენ!

— რატომ?!

— ფრონტიდან მოხსნილან!

— და მერე ამისთვის!!

— სწორედ!

— ე შეუძლებელია! თუ უბრძანეს უნდა შეესრულებიათ!

— არავის არ უბრძანებია!

— გამოქცეულან?!

— ისე, როგორც სხვა ფრონტებიდ ნ!

მიფორთხავენ ისევ.

შორიდან მოსჩანს ჩამოგვიფული მთასიმაღლეები.

ქარჯიქური ისევ წუწუნებს ცარიელ შორველებში.

— ალექსი, დინამიტები სად არის!

— აქ!

— ბრძანებაა ხიდის მარჯვენა თავის აფეთქების შესახებ!

— მესმის!

ნიშანთან აანთებ!

— არის!

ჯარისკაცების მეორე ჯგუფში სულ სხვაგვარი საუბარი იყო გამართული.

— რატომ ვიბრძვით!

— მშვენიერ საქართველოს კეთილდღეობაზე!

— ვის ებრძვი! რა გაქვს საბრძოლო!

— დამანებე თავი!

კიდევ სხვაგან სულ სხვაზე ამბობდენ.

— გავიპაროთ!

— ჩუმად! ვინ მოდის კიდევ.

— მე!

— მე!

— მაშ, წავიდეთ!

და ირღვეოდა ფრონტი.

### 3.

ქარი ეხეთქება ქოხებს. ზუზუნებს ხეებში.

ცივა.

ბუხარი მინაცრულია. მიბჟუტული.

ოტია კუთხეში მიმდგარა ჩუმად სვევდიანი.

— ცირა ცაუ!—აკანკალდა ბადუ.

— რა იყო?

— ფიარი სად არის!

— რად გინდა!

— რაც ქალაქიდან ჩამოვიტანეთ მიწაში უნდა ჩავფლათ!

— რომ გაგვიგონ!

— საქმე ისა რომ არ გაგვიგონ!

— ასე ბაბაჲ! ასე მეც მოგეხმარები აი, ფიარი!—უთხრა ოტიამ.

ორივენი გარეთ გავიდნენ.

აივნის პირდაპირ უნდა გაეთხარათ. გარეთ ქროდა ქარჯიქური, ბნელი და ცივა თოვლად ჩამოდიოდა.

ციოდა.

ბ დუმ დაჰკრა ბარს.

უცებ ოტიამ ხელი მხარზე დაჰკრა და სიჩუმე ანიშნა.

სიბნელიდან ვიღაცეები მოფორთხავდენ.

ხმა სიბნელიდან:

— ალე! ეხლა საით?!

— პირდაპირ!

— რომ დაგვიჭირონ!

(ბადუ ხეს ამოეფარა).

— ამ გზით არავინ შეგვხდება!

— გაჩუმდი... მომყე!

ისინი ბნელში მორბოდენ და იკარგებოდენ ბნელში...

ვინ არიან?! იკითხა ბ დუმ.

— გვარდიელები: ვერ გაარჩიე ბუბლატები!—უთხრა ოტიამ.

ბარი ისევ სჭრიდა მიწას.

### 4. მიიპარებიან.

ცის იქით რკინის გზის სადგურზე, თავჯაროვიილ გორილასავით ბღაოდა ჯავშნოსანი მატარებელი და ტყვიამფრქვევლების ცივი ტუჩები, ზარბაზნების დინგები ცივად გამოიყურებოდენ.

ხრჩოლავდა ხახტად ორთქლმავალი და რაღაც ცივი, მოუკარებელის შთაბეჭდილებას ახდენდა.

ნელა მოზოზავს ღამე თხრილებში, ფერდობებზე, მთ ბში, მთებს იქით და გადათოვლილი მიწა იყინება

ნელა მიდუდუნებს ცი და ცის ნაპირზე აქა იქ იცქირებიან ხელფეხ გათოშილი სახეები.

თითონ ცის ნაპირ ნაპირ ვიღაც მაღალი კაცი მიდიოდა.

— სად არიან?! მიიპარებიან არა!!!

ეკითხებოდა ის დარჩენილებს.

— არაფერი არ ვიცით!

— მე იიათ ვეჩვენები!

ხმას არავინ იღებდა.

ის ბრაზობდა მაგრ ად ხელს ვერავის ვერ ადებდა.

## რკალი მესამე.

### 1. დაბრუნებული.

კარებთან კაკუნი გაისმა.

ბადუ კანკალებდა. თრთოდა და კუთხეს არ შორდებოდა.

ცაუს თითქოს მუხლები მოეჭრა. თვალებს მოაწვა ბურსი.

კარებთან ისევ გაისმა კაკუნი.

— მეორე ოთახში წადი! ქალი, რომ თვალწინ შეხვდეს არ ივარგებს! – უთხრა ოტიამ და მერე თითონ მივიდა კარებთან გულკანკალებით.

კარებში გვარდიის ფორმებში გამოწყობილი ივლიანე (ნათლიას შვილი) გადაეხვია.

ის იყო ფერმკრთალი. თვალებ ჩახისლული ხუსტი.

ოთახიდან ცაუ გამოვიდა.

ყველას გაუმაგრდა გული.

— ჩვენები არ დამხვდენ! არ ვიცი სად გადაიკარგენ!

— ჩვენ ეს არის ეხლა ჩამოვედით ქალაქიდ ნ!

— რა ამბავია! საიდან მოდიხარ!—ჰკითხა ბადუმ.

— ც იშიდან მოვდივარ! წამოვედით ჩვენით! ბევრი გამოიპარა! დაიბნა!

იყო შიში თუ გაურკვევლობა.

ივლიანემ ხიშტი ოაძრო თოფს და ბნელში გ დაუშვა. თოფი ხი ა ფულუროში შეინახა. ტანისამოსი გამოიცვალა.

ბადუ ის ვ კანკალებდა. ისევ თრთოდა.

გარეთ: იყო თოვლი, მთებზე, ჰავხევებში, ცის ნაპირ ნაპირ ჩალურჯებულ ჩანაკაფებში.

— ცირა ცაუ!

ცირა ცაუ!—დაუძახა ოტიამ.

— რა იყო?!

— შენ ლეფთერის ახლში წადი! იქ ქალებიც არიან და არა უშავს!

და მერე: შიშის გამო გულაკანკალებული, ფართხალით მიდი და ცაუ და უკან სტოვებდა ბნელს. ბნელში ეზოებს, ყრუ ორღობებს.

### 2. სროლა.

გათ ენდა დაცისბინდებული დილა.

სრულიად მოულოდნელად დაიქუხა სადგურიდან ზარბაზანმა და შუილით გადაიარა ყუმბარამ.

ყველანი მიწვ ნ თხრილებში.

ცის ნაპირებზე აკაკანდენ ტყვიამფრქვევები და თოფები.

მი იოდენ ტყვიები ტყვიებს, ყუმბარები ყუმბა ებს.

— რატომ ყოველივე ეს!

ჩასჩურჩულებდა ერთერთი ჩასაფრებულთაგანი.

— სუ! არ გაგიგონ; —აფრთხილებდა მეორე.

ზრიალ ით, გრუხუნით მოარღვევდა ყუმბარა სივრცეს. ყუმბარა მოხთა ნაცრისფერი გუმბათს და გადაამსხვრი .

— თემშარიხე მიდიოდა თვალებ წყლიანი, ჰალარა ფრიბულებიანი მოხუცი გვაჯი.

მის გვერდით დაეცა ყუმბარა საზარელი ქუხილით. აყარა ნამსხვრევები და ნამსხვრევებთან ერთად დაეცა მოხუცი სისხლში.

### 3. შიში ისევ.

— რა ვქნათ?! კანკალებდა ბადუ.

– არაფერი არ ვიცი!

— ივლიანე შენ რას იტყვი?!

— იყავით ასე მიწაზე გაკრული!—დაარიგა მან.

### 4. ახეთი გარემოება!

პატარა ჯარისკაცი აფორთხდა ხიდზე. აანთო პატრუქი.

ლილისფერი ალი გაჰყვა გადმოკიდებულ პატრუქს და რამოდენიმე ხნის შემდეგ ცაზე დადგმულ უშობო, გადმოკიდებული რკინის ხიდის არცხენა თავთან იქუხა, იქექა და საშინელ ხმაურთან ერთად ავარდა ბოლი.

ჯავშნოსანიდან ისევ ისროდენ. ციხე პოზიცია იძლეოდა.

— ცნობაა ფოთით გზას მოგვიჭრიან.

— მაშინ, ხომ ჩავრჩებით სეხაკში.

— უბრძანეთ პირდაპირ!

მოიხსნა ჯავშნოსანი: ცხენარშია თქარათქურით გარბოდა. მირბოდენ ჯარისკაცები.

ისევ ის ტანმორჩილი ჯ რისკაცი მდინარე ტეხურზე ჩამოხტა.

შუა ადგილს ჩასდო დინამიტი. აანთო.

აჭექდა, აქუხდა და რკინის ხიდი ჩაიმსხვრა, ჩავარდა.

ამით მოწყდა სროლა და ჩამოდგა ხანგრძლივი სიჩუმე, შიში თუ გაურკვევლობა.

(ასე დაირღვა ცის ფრონტი).

**5. ისევ გაურკვევლობა თუ შიში.**

ნახევრად გამოღებულ ფანჯრიდან იცქირებოდა ბადუ.

იყო ჩუმი, მინათოვი—ფერდობინი, ცარიელი სოფელი.

შუკები, ღელეები — ტალახიანი, თოვლჭყაპიანი.

— შამათ! ცაუსთან წადი?!!

— მეშინია:

— სროლა ხომ არ არის, რისი გეშინია?!

— გზაში რომ შემხვდენ! არ მინდა პირისპირ შევხვდე!

— ნუ სულელობ! წამოდი ჩემთან:

— მე მაინც მეშინია!

ოთახში დაისის უფერო ბინდები შემოწვნენ.

— წავიდეთ ლეფთერისას!—სთქვა ივლიანემ.

ბადუს მაინც აკანკალებდა თითქოს. ჯოჯოტობდა.

სოფელში წითლები შემოდიოდნენ!

**6. პირაცინებული კაცი ანუ იგივე „აი, მოკეთე!“.**

ტალახში, ტლაპოში, ლაფში ნელა მიაბიჯებდენ ისინი.

— ბაბაია! მე მაინც მეშინია!

— რისი!

— თითონ არ ვიცი!

ძვერებში სტიროდა ქარი.

დაძონძილი ღრუბლები ისევ მიძონძავდენ ავსებდენ სივრცეს.

არ სჩანდა მზე ბრჭყვიალა, მზე ცხოველმყოფელი.

მიუახლოვდენ ლევთერის სახლს. სახლიდან უჩვეულო სიცილი მოისმოდა. ბადუ შეჩერდა. შეჩერდა სხვებიც.

კარებიდან ლეფთერის მხიარული, ბრწყინვალე სახე გამოჩნდა.

მას სამხედრო ტანისამოსი ეცვა კისერთან წითელ ნაჭრებიანი.

(ბადუმ ითაკილა).

ამავე დროს ღია კარებიდან გაისმა.,

— მობრძანდით!—და კარების შიგნ თახალგაზრდა დედის და ცაუს ბრწყინვალე თვალები აენთენ.

ნელა ავიდენ კიბეზე. ასე ნელა, ფრთხილად მიუახლოვდენ შესასვლელს და ბადუმ ეხლა შენიშნა ძაბრის ქუდიანი.

უმალ შეჩერდა.

შეჩერდა ოტიაც, ივლიანეც.

— რა იყო?!

ბადუს გულში რაღაცამ გაჰკრა. გაკაწრა. დაიხია უკან და ძაბრის ქუდიანი პირაცინებული, მშვიდად მოაბიჯებდა.

საცაა ბადუ უნდა მოშორდეს ამ კარებს, ამ ისრებივით გამოსროლილ თვალებს. მაგრამ ვერ იძვრის ადგილიდან.

ძაბრის ქუდიანი იცინოდა და საამოდ უბრწყინავდა თვალები აი, თუ გინდ იგე როგორც პირისპირ შეხვედრილი მოკეთეს თვალები. დაყუდებულ ბადუსთან ასევე პირაცინებული, მხიარული შუბლ გაშლილი და უთხრა...

— здорово товарищ кацо!

**არჩილ ჩაჩიბაია.**

# ჯიშიანი ფრინველის მოშენება

ამ რამოდენიმე ხნის წინად დასავლეთ საქართველოში, სამტრედიაში, გაიხსნა ახალი, სპეციალური „მეფრინველეობის დაწესებულება“. ეს პირველი ამიერ კავკასიაში და მეორე საბჭოთა კავშირში „ზაკკოსტორგი“-ს მეფრინველეობა-მეკვერცხეობის კომბინატია. 10.000 ჰექტარის ფართობი, შემოღობილი ყოველ მხრიდან და დაყოფილი გალიებათ დანიშნულია ქათმებისათვის, მამლებისათვის, იხვებისათვის და ბატებისათვის ოდესღაც უდაბნო ადგილი გარდაიქმნა, გამოცოცხლდა, გამოჩნდენ ინჟინრები, ტეხნიკოსები, მუშები, კომბინატის ტერიტორიაზე აიგო ახალი შენობები.



ზევიდან ქვევით: საკვები შენობა 3000 ფრინველისთვის.

ჯიშიანი ქათამი „როტ აილანდ“ (ინგლისი).

კვერცხის შემოწმება გალანდვით.

ჯიშიანი ფრინველი დაკვლის წინ.

**ბუმბულის დახარისხება.**

კომბინატს მძიმე ამოცანა აქვს დასახული—ფრინველის და კვერცხის ექსპორტი საზღვარგარეთ, ფრინველის მოვლის ახალი ფორმების შექმნა, საქართველოში ჯიშიანი ფრინველის განვითარება. ამ მოცანის განხორციელება ძნელდება იმით, რომ საზღვარგარეთის ბაზარი დიდ მოთხოვნილებებს აყენებს. ამიტომ კომბინატის მუშაობაში საჭიროა მეტი ყურადღება და დაკვირვება, გამოცდილება კი ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტა გვაქვს. იმას, თუ რამდენად ფრთხილად უდგება კომბინატი საექსპორტო ფრინველის შერჩევას, მოწმობს ის, რომ საქართველოს მეფრინველეობის კავშირის მიერ მოწოდებული ფრინველის დიდი ნაწილი დაწუნებულ იქნა კომბინატის ორი თვის მუშაობის შედეგათ გეგმის 80 პროცენტით შეუსრულებლობა.

გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზია კომბინატსა და საქ. მეფრინველეობის კავშირს შორის დადებული ხელშეკრულების ჩაშლა. მეფრინველეებმა ვერ შესძლეს მაღალხარისხოვანი მეფრინველეობის მოწყობა და საექსპორტო ფრინველის საჭირო რაოდენობით დამზადება. კომბინატმა ჩაბარებული ფრინველის დიდი ნაწილი დაწუნა და ადგილობრივ ბაზარზე გაუშვა. მეორე მიზეზია წარმოების სიახლე და კომბინატისათვის საჭირო კვალიფიციური მუშახელის უყოლობა.

კომბინატი — ფრინველთა ქალაქი 7.000 ფრინველით ამჟამად, მომავალში ეს რაოდენობა გაიზრდება, კომბინატის „მოსახლეობა“ ავა 30.000 მდე. გრძელი ერთსართულიანი შენობები სავენტილიატორო მილებით—საკვები შენობები ამერიკული ტიპით აგებული. ამ შენობებში სამ სართულათ მოთავსებულია 3.000 სხვადასხვა ჯიშის ფრინველი. გერმანია, ინგლისი, იტალია, ყოველი ქვეყანა თავის მოთხოვნილებებს უყენებს ფრინველს, ამიტომაც ფრინველის მოვლა სხვადასხვა გვარია.

საკვების გვერდით, კარ-ფანჯრიან მწვანე სახლებში მოთავსებულია კომბინატის მიერ ინგლისიდან სპეციალურად გამოწერილი „როტ აილანდი“-ს ჯიშის 6.000 ქათამი. იქვე გვერდზე მოთავსებული ინკუბატორი მოუთმენლადელის ამ ქათმების კვერცხების პირველ პარტიას, ამ ჯიშიანი ქათმების პირველი წიწილები განაწილებული იქნება კოლმეურნეობებსა, არტელებსა და ღარიბ გლეხობას შორის. წიწილების ამ პირველი პარტიით დაიწყება ჯიშიანი მეფრინველეობის განვითარება დასავლეთ საქართველოში და ამიტომ ამ საქმეს ექცევა უდიდესი ყურადღება.

კომბინატის ყველა შენობებში სწარმოებს უდიდესი მუშაობა. აქ იქმნება საექსპორტო ფრინველი, საექსპორტო კვერცხი. უკანასკნელი უნდა იყოს განსაზღვრული წონის, სადა, სუფთა, წინააღმდეგ შემთხვევაში საზღვარგარეთის ბაზარი არ მიიღებს. კვერცხის გამომკვლევენი დღეში 7.000 კვერცხს ამოწმებენ. მომავალში კომბინატი გადაიქცევა კვერცხის ფაბრიკად, ყოველდღიურად ერთი ვაგონი საექსპორტო კვერცხის შემოსავლით.

მიუხედავათ მუშაობის მძიმე პირობებისა კომბინატმა შესძლო ორი თვის განმავლობაში 17.500 ფრინველის ექსპორტი. კომბინატს დიდი მომავალი აქვს. ის შეუჩერებლად ფართოვდება. უკვე ეხლა მას გადაეცა დამატებით 4.000 ჰექტარი მიწა ჯიშიანი ფრინველების გასაშენებლად. მაგრამ, იმისათვის, რომ ასეთი საჭირო დაწესებულების გაფართოება არ შეფერხდეს საქ. მეფრინველეობის კავშირმა უნდა მოაწყოს საექსპორტო ფრინველის მასიური გაშენება. ეს საქმე უნდა დაიწყოს ეხლავე, დაუყოვნებლივ მეფრინველეობა მეკვერცხეობის კომბინატი საჭიროებს ჩვენი მეფრინველეების დახმარებას.

**გ. შმერლინგი.**

# ადამიანის წინაპრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რა სახე ჰქონდა ადამიანს 50,000 წლის წინათ? პირვე-ლი სრული რეკონსტრუქცია გამოქვაბულის ადამიანისა ამერიკულ მუზეუმში.**

ჩვენ ყოველთვის ისეთი მოქნილი სხეული და ზრდილობიანი მიხვრა-მოხვრა როდი გვქონია, როგორიც დღეს გვაქვს! გთხოვთ თვით დარწმუნდეთ! ეს არის თქვენი წინაპრების უტყუარი ფოტოგრაფია, მათი ტლანქი სხეული და გამომეტყველება ნაკლებ უდგება ბიბლიის სიტყვებს: „და შექმნა ღმერთმა კაცი სახეთ და ხატათ თვისათ“.

ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ სურათებზე დახატულია ადამიანი, როგორიც იგი 50.000 წლის წინათ ყოფილა; ეს არის პირველი სწორი რეკონსტრუქცია ეგრეთ წოდებული ნეანდერტალური ანუ ყინულოვანი ეპოქის ადამიანისა, ეს რეკონსტრუქცია შესრულებულია ამერიკელ და ევროპიელ მეცნიერთა მიერ ჩიკაგოს მუზეუმისთვის ახალი გათხრების მიხედვით, რომელიც საფრანგეთის დეპარტამენტ დორდონში მოახდინეს. ამ რიგათ ეს სურათები წარმოადგენენ არა ცხოველი ფანტაზიის ნაყოფს, არამედ თანამედროვე მეცნიერების ფაქტების დადასტურებას. ჩიკაგოში პირველყოფილი გამოქვაბულები გააკეთეს და იქ მნახველს შეუძლია ყინულოვანი ეპოქის ადამიანის და ქვის ეპოქის ადამიანის ხით დასტკბეს. აქ დგას დაახლოვებით 50 წლის მამაკაცი, რომელიც ესაა ნადირობიდან ბრუნდება, ხელში ახლათ მოკლული ცხოველის რქა უჭირავს. გამოქვაბულის შესავალთან ერთ მხარეში ქალი სდგას, ბავშვით ხელში, მეორეზე ხნიერი დედაკაცი ნადირის ტყავზე მუშაობს. საერთო ეფექტი ამ პრეისტორიული ოჯახის სცენისა მეტად ძლიერი უნდა იყოს. იგი ამტკიცებს იმ ზოოლოგიური და არქეოლოგიური დებულების სისწორეს, რომ უმაღლესი ტიპის მაიმუნები, გორილლა, შიმპანზე, ორანგ-უტანგი ახლო დგ ნან ადამიანთან, ამიტომ პრიმიტიული ხალხები ამ მაიმუნებს ადამიანათ სთვლიან. მაგალ. ორანგ-უტანგი მალაელთა სიტყვაა, ტყის ადამიანს ნიშნავს. ამ „ტყის ადამიანებთან“ ჩვენ სისხლის ნათესაობაც გვაქვს, როგორც უკანასკნელი დროის გამოკვლევებმა დაამტკიცა. სხვაფრივ ბევრი საერთო აღარ დარჩენილა ჩვენსა და ყინულის თუ ქვის ადამიანს შორის. ცხოვრების პირობების შეცვლამ გამოიწვია ადამიანის გარეგნობის, მიხვრა-მოხვრის და აზროვნების შეცვლა. გრძელია ის გზა, რომელიც პრიმიტიული ქვის იარაღიდან „კულტურულ“ საწამლავის გაზამდე და ტყვის-მფრქვეველამდე, ან ტყავის წინსაფარიდან თანამედროვე კოპწია ტანსაცმელამდე მოდის.

ჩიკაგოს მუზეუმის მუშაობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ერთი მდიდარი ამერიკელის წყალობით, რომელმაც ამ საქმეს 50.000 დოლარი შესწირა. უეჭველია იგი ერთგვარ თეთრ ყორანს წარმოადგენს კაპიტალისტებს შორის, რომელნიც ჩვეულებრივ ამჯობინებენ ფული პოლიციის ორგანიზაციას მოახმარონ, ვიდრე მეცნიერულ კვლევა-ძიებას.





სურათებზე: ყინულოვანი ეპოქის ოჯახი 50.000 წლის წინათ: მამაკაცს მოკლული ცხოველის რქა მოაქვს, ქალს ხელში ძუძუმწოვარი ბავშვი უჭირავს, ხნიერი დედაკაცი ნადირის ტყავზე მუშაობს. გვერდით ყმაწვილი უდგას.





პირველყოფილი ადამიანი დორ-დონის ჯათხრების მიხედვით (საფრანგეთში). პირველყოფილი დედაკაცი, პირველყოფილი მამაკაცი, რომელიც საოცრად წააგავს ორანგ-უტანგს; ხელში ქვის პალო უჭირავს, პრეისტორიული ეპოქის იარაღი. დორდონის ხეობა საფრანგეთში, სადაც პირველყოფილი ადამიანის ძვლები აღმოაჩინეს; ამ ძვლების მიხედვით მეცნიერებმა ჩვენი წინაპრების რეკონსტრუქცია მოახდინა.

# „ვეფხის ტყაოსანი“-ს გარშემო

ხელოვნების სასახლეში, ქართველ მწერალთა კრებაზე პაველ ინგოროყვამ წაიკითხა მოხსენება „ვეფხის ტყაოსანის ეზოტერიულ მხარეზე“. (ეს მოხსენება წარმოადგენს ერთ-ერთ თავს „რუსთაველიანას“ მეორე ტომიდან, რომელიც ავტორს დამზადებული აქვს გამოსაცემად).

შესავალში მომხსენებელმა განიხილა ზოგიერთი ფილოლოგიური ხასიათის საკითხები, პოემის ორიგინალობის კითხვასთან დაკავშირებულნი. სხვათა შორის გარკვეული იყო კითხვა, თუ როგორ წარმოიშვა ლეგენდა, თითქო „ვეფხის ტყაოსანი“ წარმოადგენს ნათარგმნი „ამბავის“ გალექსვას. ხელნაწერთა ანალიზის მიხედვით მომხსენებელმა ცხადჰყო, რომ ეს გარემოება არ შეეფერება სინამდვილეს. მაგრამ ეს ცოტაა: მომხსენებელმა ისიც გამოარკვია, თუ რა ნიადაგზე წარმოიშვა ეს ლეგენდა.

პოემის ორიგინალობის საკითხის განხილვის შემდეგ მომხსენებელი შეეხო „ვეფხის ტყაოსნის“ ეზოტერიულ მხარეს.

როგორც ცნობილია, შოთა რუსთველის დროის აღმოსავლურ პოეზიაში, რომელიც რეფისტურ მიმართულებას წარმოადგენდა, მიღებული იყო ეზოტერიული პოეტიკა. ეს ეზოტერიული პოეტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ პოეტურ ნაწარმოებში მოცემული იყო ხოლმე ორნაირი ასპექტი: რეალისტური („საანჯამო“) და ეზოტერიული (ე. ი. ფარული, რელიგიურ-ფილოსოფიური, ანუ როგორც მაშინ იტყოდენ „საღმრთო“). მაგალითისათვის მომხსენებელმა დაასახელა პოემა „ლეილ-მეჯნურიანი“ (მე-XII საუკ.), რომელიც, როგორც გამორკვეულია, ორნაირ გაზომილობას შეიცავს: რეალისტურ პლანში მოცემულია ჩვეულებრივი რომანი; მაგრამ ამავე დროს აქ ავტორს წარმოდგენილი აქვს ეზოტერიული („ფარული“) მხარე, სადაც გადმოცემულია ადამიანის მისწრაფება აბსოლუტისადმი და ეზოტერიული შეცნობის სხვადასხვა საფეხურები.

მომხსენებელმა მთელ რიგ ჩვენებათა მიხედვით ცხადჰყო, რომ „ვეფხის-ტყაოსან“-ში არის ეზოტერიული მხარე. ეზოტერიული შინაარსის არსებობას „ვეფხის ტყაოსან“-ში სხვადასხვა ჩვენებებს გარდა ადასტურებს თვით შოთას ars poetica, რომელიც შესავლის სახით უძღვის პოემას. ამასთანავე ირკვევა ისიც, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ ეზოტერიული შინაარსი არა-ქრისტიანული ყოფილა; ეს კარგათ სცოდნიათ როგორც პოეტის თანამედროვეებს, ისე შემდეგი თაობის კლერიკალურად განწყობილ წრეებსაც, და ამით აიხსნება შოთას ნაწარმოების დევნა, რასაც ადგილი ჰქონდა შემდეგ საუკუნოებში.

საგულისხმო იყო მოხსენებაში აღდგენა პოემის ადგილებისა, რომლებიც შემდეგ გადაუსწორებიათ, რომ დაეფარათ პოემის არა-ქრისტიანული ხასიათი. მაგალითად, „ვეფხის ტყაოსან“-ში „მნათობთა ლოცვა“ დღემდე ცნობილ ტექსტში ასე იწყება:

„მიმავალი ცასა შესტის, ეუბნების, ეტ-
ყვის მზესა:
აჰა, მზეო, გეაჯები!..“

მაგრამ ძველს ხელნაწერში ეს ადგილი ასეა დაცული:

„მიმავალი ცასა შესტის, ეუბნების ეტლსა
მზესა:
აჰა, ღმერთო, გეაჯები!..“

ადვილი წარმოსადგენია, რომ ეს ადგილი სადაც შოთა პირდაპირ მიმართავს მზეს, როგორც ღმერთს, მიუღებელი იყო ქრისტიანი მკითხველისათვის, და ამიტომ პოემის ეს ადგილი შემდეგ შეუცვლიათ.

ამნაირადვე გადასწორებული ყოფილა პოემაში მთელი რიგი ადგილებისა, სადაც ცხადად მოსჩანდა შოთას არა ქრისტიანული იდეები.

ამ მოკლე ანგარიშში, რასაკვირველია, შეუძლებელია შევეხოთ მოხსენებაში აღძრულ ყველა საკითხებს, რომლებიც სრულიად ახალ შუქსა ჰფენენ შოთას პოემას.

აქ შევჩერდებით მხოლოდ გაკვრით ერთ მხარეზე—მნათობთა სიმბოლიკაზე.

„ვეფხის ტყაოსან“-ში, ეზოტერიული პოეტიკის თანახმად, მოცემულია ორნაირი პლანი: რეალისტური პლანით პოემის გმირები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ხოლო ეზოტერიულ პლანში პოემის იგივე გმირები წარმოდგენილი არიან როგორც მნათობები.

პოემის ცალკე გმირებში მოცემულია ამა თუ იმ მნათობის ასპექტი. ასე, ტარიელი არის მთვარე. (ვეფხის ტყავი—მთვარის ლაქების სიმბოლოა; ტარიელის ბნედა—მთვარის ფაზებია და სხვა). ავთანდილ არის მერკური. („ვეფხის ტყაოსნის“ მოთხრობის ცალკე დეტალები ავთანდილის შესახებ „მერკურის“ ბუნების უნაკლულო ასახვას წარმოადგენს). ნესტან-დარეჯან არის ვენუსი, მარადქალურის სიმბოლო. თინათინ არის მზე (თინათინის გამეფება მზის დაბადებაა, ოქროს სხივთა მიმობნევით). როსტევან—დღემრავალი და მჭმუნვარე—არის იგივე სატურნი. ფარსადან—ვენუსის მამა,—არის იუპიტერი. ფრიდონი არის მარსი (რომელიც პირველ შეხვედრის დროსვე გვევლინება ხმალამოწვდილი და სისხლით მოსვრილი).

მომხსენებელმა დაწვრილებით განიხილა მითოლოგიური წარმოდგენანი, რომლებიც არსებობდენ ცალკე მნათობთა შესახებ და მოიყვანა გადამწყვეტი მნიშვნელობის მაგალითები პოემის ცალკე ადგილების შეხვედრისა მნათობთა შესახებ მითოსთან, რაც ცხადჰყოფს, რომ პოემის მოხსენებულნი გმირნი წარმოადგენენ ამა თუ იმ მნათობთა ასპექტს.

შემდეგ, პოემის მოქმედება, რომელიც რეალისტურ პლანში მოცემულია, როგორც ტრაგიული მოთხრობა ადამიანთა ცხოვრებიდან, ეზოტერიულ პლანში წარმოადგენს მნათობთა მოქცევის ამბავს: პოემის დასაწყისი იგულისხმებს მნათობების ისეთ მდგომარეობას ცაზე, როცა მზე—თინათინ, როსტევან—სატურნი და ავთანდილ—მერკური ერთ ზოდიაკოში იმყოფებიან; მეორე ზოდიაკოშია ნესტან—ვენუსი, ტარიელ—მთვარე და ფარსადან—იუპიტერი. მესამე ზოდიაკოშია ფრიდონ—მარსი. მოთხრობის შემდეგს განვითარებასა და ფინალს აქვს ასტრალური პარალელები მნათობთა მოქცევის რკალში.

ჩვენ აქ აღვნიშნეთ მხოლოდ ზოგიერთი დეტალები მოხსენებიდან: მოხსენება მთლიანად კონკრეტულ მასალაზე იყო დამყარებული.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გრ. რობაქიძემ, ვ. კოტეტიშვილმა, ტიციან ტაბიძემ, სვ. ჯანაშიამ, ალ. აბაშელმა და სხვ.

**ალ. აბაშელი.**



წიგნი მასებს
საქ. სახელგამის მოძრავი ჯიხური, რომელიც წიგნს ავრცელებს დასავლეთ საქართველოში.



ბაშთრის რკინის-გზის მოსამსახურეებისთვის შენდება ახალი საცხოვრებელი ბინა.



საკონცესიო ფირმის „სტანდარტ ოილ"-ის ნავთის საწმენდი ქარხანა ბათომში. 1930 წელს თავდება კონცესიის ვადა, რის შემდეგ ქარხანა გადავა საბჭოთა მრეწველობის საკუთრებაში.



ამიერ-კავკასიის ფეხოსანთა სკოლის კურსანტები აგროვებენ რკინის ნამტვრევებს რკინის-გზის სახელოსნოებში.



ქუთაისიდან ბაღდადამდე მიმავალი შოსე ამ ბოლო ჟამებში ძლიერ გაფუჭდა, რაც აძნელებს მანქანების და ურმების მიმოსვლას. ამ რაიონის კოლექტივის წევრები აწარმოებენ გაცხოველებულ მუშაობას გზის შესაკეთებლად.

სურათზე:—გზაზე მუშაობის ერთი მომენტი.



რკინისა და თუჯის ნამტვრევების შეგროვება ჩამოსასხმელ ქარხანაში გასაგზავნად.



ბათომში დასრულდა ნავთსადენის შენება და გაძლიერდა ნავთის ექსპორტი საზღვარგარეთ. სურათზე—ნავთის გადასხმა საექსპორტოდ.



ტომრების შეგროვების კამპანიაში დიდ მონაწილეობას იღებენ კომკავშირლები. სურათზე—თბილისის კომკავშირლები შაბათობაზე „სოიუზხლების" საწყობებში.



ახალი მოწყობილობის გადმოტვირთვა, რომელიც მიღებულია ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკაში.



ფოტო—ი. ტორის.

თელავის პარტ-სკოლის მსმენელები შეშის ხერხვის დროს.

მთავლ. № 353. ტირაჟი 5000. პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა. გაზ. „კომუნისტი“ ს გამომცემლობა.